ყოველდღიური გაზეთი — ფასი 10 კაპ. — შაბათი, 1917 წ. მკათათვის 22 (4)

# საქართველო

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ტელეფონი 15—73

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, ред. акц. „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 80 კ., უკანასკნელზე—30 კ. ...... ტექსტში მოქცეულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 მნ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი მხოლოდ ქალაქში. ქალაქ გარეთ გაზეთი ერთი თვით არ გაიგზავნება.

№ 159 — ეროვნულ-დემოკრატიულ გაზეთი — № 159

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

რუსის ჯარის მხნეობა მატულობს.

სამხედრო მინისტრი ნებას არ იძლევა ჯარისკაცთა და მუშათა ტეპუტატთა საბჭოებში ფრონტისა და სათადარიგო ჯარისკაცებმა მიიღონ მონაწილეობა.

ყაზახ-რუსის ღენერალი პეტროგრადის ჯარის უფროსად დანიშნეს.

კომისარმა დოლგატმა გააუქმა კომისარის ჰაიდაროვის ბრძანება იარაღის აყრის თაობაზე დაღესტანში.

გერმანეთის ფლოტი ლიბავასთან თავს იყრის.

ფინლიანდიის სეიმის დათხოვნა.

როძიანკოს საუბარი ჰქონდა კერენსკისთან.

პოლიტეხნიკუმი თბილისში ენკენისთვიდან იხსნება.

### წერილები

**მეთაური.** ფინლიანდიის სეიმის დათხოვნა.

**შ. ამირეჯიბი.** ე. გეგეჭკორის განმარტების გამო.

**გ. წინამძღვრიშვილი.** მევენახეობის მდგომარეობა ჩვენში.

რევოლუცია და მანეთიანის კურსი.

შაქრის მისაღებათ ბარათების მიღების წესი.

პოლკოვნიკი ვასილ ივანეს ძე, კნ. სოფიო ივანეს ასული, ნინო ზაქარიას ასული, მარიამ, ელისაბედ, თამარ, ივანე და შალვა ფავლენიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველნი ორნი—ძვირფას და დაუვიწყარ შვილის, მეორე—ძვირფასი ქმრის და დანარჩენნი—ძვირფასი ძმის

მესამე მფრინავი რაზმის პოდპორუჩიკის თავად

ალექსანდრე ვასილის ძის

ფავლენიშვილის

ტრაღიკულად დაღუპვას.

დღეს, დილის 12 საათზე (ახალი დრო) პანაშვიდი გადახდილ იქნება თბილისის რკინის გზის სადგურზე, რის შემდეგ წაასვენებენ ქაშვეთის ეკლესიაში, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1—717—1

მაკრო რაჟდენის ასული, ხერგო მეცგიუს ძე ლორთქიფანიძეები, სოფიო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილისა, გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ პირველის საყვარელ შვილს და უკანასკნელის შვილის-შვილის

ნიკუშას

გარდაცვალებას,

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია მკათათვის 22-ს, დღით შაბათს, ქალ. გორში. 1—714—1

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წლ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან. 10—742—10

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
პირველი უბნის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12. ქართულ სადგილ-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმავლობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად. ყოველგვარი ცნობების მიღება და წევრად ჩაწერა შეიძლება აგრეთვე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ. ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან გ. ყიფიანთან. 751

„ქართული კლუბი"
„ქართული კლუბის მამასახლისთა"

საბჭო ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ კვირას, 23 ივლისს, დილის 12 საათზე, დანიშნულია კლუბის დარბაზში:

საგანგებო კრების გაგრძელება

მამასახლისთა საბჭო სთხოვს კლუბის წევრთ უთუოდ დაესწრონ კრებას, რადგანაც კრების მიერ განსახილველი საკითხი ფრიად საყურადღებოა. 2—708—1

საზაფხულო მოგზაურობა

თბილისის მომღერალ მგალობელთა გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით გამართავს დიდ სახალხო

კონცერტებს

პროვინციის შემდეგ ადგილებში: სურამში 22 ივლისს, ხაშურში 23, ბორჯომში 24, წაღვერში 25, გორში 26 და ქარელში 27-ში. გუნდი შეასრულებს მარსელიოზას და სხვა რევოლიუციონურ სიმღერებს. 1—713—1

კავკასიის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი
მუშათა, ჯარის-კაცთა, გლეხთა დეპუტატ. საბჭოებისა
მოთავსებულია სასახლეში, ყვითელ ზალაში.

პრეზიდიუმის შემადგენლობა: თავმჯდომარე ე. პ. გეგეჭკორი. თ-ვ. ამხანაგი დ. დ. დანსკოი. „ „ ნ. ვ. რამიშვილი.

პრეზიდიუმის წევრები: ნ. ფ. ვერეზოვი, ი. ა. ზექზადიანი, ქ. გაზაზიანი, ს. ზეინალოვი, ი. ი. იდაშკინი, ნ. ა. თარხანოვი.

მთხოვნელთა მიღება ყოველ დღე დილ. 10—12 საათამდე. ტელეფ. № 4—90 3—705—2

ექიმი
გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი
გ. მ. მუხაძე

იღებს სადასტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქალისა
ე. ივ. გალარჯიშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რეზიდოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
მ. ი. მაჩნაძე

იღებს მაგშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, მადინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 86, მეორე სართული.

...... ექიმი ...... ...

კალანდარიშვილი

...... ...... ..... ...... ...... ......

...... ...... და ...... ...... ...... მიიღებს

მანგლისში

საკრედიტო კორპუსის ბანაკში

ექიმი
ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116. (თ—703—4)

ექიმი
გ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 8—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

თელავში უნდათ პატარა მორბედი ქალი

12—15 წლისა.

ბავშვისთვის ქართულ ოჯახში. მისამართი: ელისავეტოპოლის ქუჩა № 48. 3-715-1

## თბილისი, მკათათვის 22.

### ფინლიანდიის სეიმის დათხოვნა

ფინლიანდიის გარშემო ატეხილი დიდი ამბები ასრულებს თავის ციკლს. რევოლუციის დაწყებიდან ყოველ დღეს ახალი ამბავი მოჰქონდა ფინლიანდიიდან. აშკარა იყო, რომ ფინლიანდელებმა რუსეთის რევოლუციას ეჭვის თვალით შეხედეს და მოინდომეს ესარგებლად რუსეთის შინაგანი ცხოვრების გართულებით.

ფინლიანდელები არ დაკმაყოფილდნენ ახალ მთავრობის მიერ პირველ დღეებშივე აღდგენილ კონსტიტუციით და დააპირეს სრული დამოუკიდებლობის მოპოება. ამისათვის იურიდიული საბაბიც იშოვეს და რამდენიმე დღის წინ თავიანთი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს კიდეც.

რუსეთის საზოგადოება და პოლიტიკური პარტიები, ბოლშევიკების გამოკლებით, აშკარა უარყოფით შეხვდნენ ამ აქტს და რევოლუციის ზურგში ხანჯალის დაცემათ აღიარეს ფინების მოქმედება, ეჭვს გარეშე იყო, რომ პირველ შემთხვევისა და შეძლებისთანავე რუსეთის მთავრობა პასუხს მოთხოვდა ფინლიანდელებს.

ეს დრო უკვე დადგა. დღევანდელმა დეპეშებმა მოიტანეს ამბავი, რომ დროებით მთავრობას გამოუცია 18 ივლისს მანიფესტი ფინლიანდიის სეიმის დათხოვნის შესახებ, იმ სეიმისა, რომელმაც აღძრა საკითხი დამოუკიდებლობის აღდგენისა კიდეც გადაწყვიტა და დაამტკიცა ის.

მთავრობა თავის მანიფესტს იმით ასაბუთებს, რომ, როცა გამოიწურა ყოველი ღონისძიება სეიმთან შეთანხმებისა, დღეს პირდაპირ ფინლიანდიის ხალხს მიმართავს.

მთავრობის მანიფესტი გადაეცა ფინლიანდიის სენატს.

სენატი ყოყმანობს იმის გამოქვეყნებას. ეჭვს გარეშეა, რომ სეიმი მოქმედებდა ფინლიანდიის ხალხის ნდობით აღჭურვილი და ხალხის სურვილის თანახმად, აქ აღსანიშნავია ისიც, რომ დამოუკიდებლობის საკითხი უმთავრესად ს.-დემოკრატებმა ჩაატარეს.

ამიტომ კონფლიქტი იღებს მწვავე ხასიათს და მოკლე დროში უნდა ველოდეთ კრიზისის დასრულებას. რუსეთის პრესა აღნიშნავს, რომ გერმანელების შემოტევას რუსეთის და დასავლეთის ფრონტზე წინ უსწრებდა უკრაინის ეროვნული მოძრაობა, ფინლიანდია ხომ ადრევე იყო იქ მიტანილი გერმანოფილობაში.

ყველა ამის მიხედვით შეიძლება ფინლიანდიის საკითხმა სხვანაირი სახე მიიღოს. „სააგენტოს" დეპეშებმა გვაცნობეს, რომ გერმანელები ლიბავასთან დიდძალ საზღვაო და სამხედრო ძალებს უყრიან თავს და გერმანელი გენერალურ შტაბის მოხელენი მიტავისა და რიგის ფრონტს ზვერავენ და საიერიშოდ ემზადებიან.

### ევგ. გეგეჭკორის განმარტების გამო

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილმა ქართველ მხედართა დელეგაციის წერილმა დიდი ინტერესი გამოიწვია მთელ ჩვენ პრესაში. ეს ბუნებრივიც არის. ერთის მხრივ იგი შეეხებოდა ისეთ დიდ საკითხს, როგორიც არის ქართველ მხედართა ყრილობა. მეორეს მხრივ ისეთ პირს, როგორიც არის ევგ. გეგეჭკორი. ევგ. გეგეჭკორის სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ იგი საჩქაროდ გამოეხმაურა პრესის მიერ წამოყენებულ საკითხს და მით უმეტეს, რომ მისი სახელი ჩარეული იყო ამ საქმეში—გაზეთ „ერთობაში" წერილი მოათავსა.

მე ვფიქრობ, რომ ევგ. გეგეჭკორის პასუხი დამაკმაყოფილებელია და ერთგვარ დამშვიდებასაც შეიტანს საზოგადოებაში. ევგ. გეგეჭკორი უარყოფს იმას, რასაც ქართველი დელეგატები აწერენ მას. იბადება საკითხი, ვინდაა მართალი: დელეგატები, თუ გეგეჭკორი? მე არავითარი სურვილი არა მაქვს შეურაცხყოფა მივაყენო ქართველ მხედართა დელეგატებს იმ ეჭვის შეტანით, რომ მათ ფაქტი გადაამახინჯეს და გვითხრეს ის, რასაც ადგილი არ ჰქონია სინამდვილეში, მაგრამ მეორეს მხრივ, ჩემთვის და მგონია ყოველი ქართველისთვისაც გაცილებით უფრო საწყენი იქნებოდა ევ. გეგეჭკორს განეცხადებინა, რომ წერილში მოთხრობილი ამბავი მართალია და რომ ის, ევგ. გეგეჭკორი დღესაც ამ აზრს იზიარებს. მაშინ ამას ის მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ისეთ პასუხისმგებელ პირთ საქართველოს წინაშე, როგორიც არის ევ. გეგეჭკორი, საქართველოს საკითხი სრულიად არ აინტერესებს და ეს კი გაცილებით მეტს ნიშნავს ვიდრე ქართველ მხედართა წარმომადგენლების ყრილობის აკრძალვას.

თუ მისაღებია ის აზრი, რომ თვით ინციდენტი ქართველ მხედართა დელეგატების და გეგეჭკორის შორის ამ წერილების გაცვლა-გამოცვლით უნდა დამთავრდეს—მაშინ ჩვენ პირდაპირ ქართველ მხედართა ყრილობის საკითხზე შეგვიძლიან გადავიდეთ. ევგენი გეგეჭკორი ამბობს: „მე იმდენად ღრმად მწამს ჩვენი ხალხის დიადი მომავალი და ჩვენი მხედრობის ისტორიული როლი, რომ სრული დაიმედებული ვარ, ახეთ „დელეგატებს" და მათ ინიციატივას ჩვენი მხედრობა არ მიანდობს თავის ყრილობის, თუ კი ამას დრო და გარემოება მოითხოვს, მოწვევას". მე ვფიქრობ ამ სიტყვებით ევ. გეგეჭკორმა გაცილებით მეტი სთქვა, ვიდრე ჩვენ მოველოდით. ამ სიტყვებით იგი არ უარყოფს არც გარემოებას, არც დროს და არც შესაძლებლობას როცა ქართველ მხედართა ყრილობის მოწვევა ფაქტი გახდება, მაგრამ როდის, ან როგორ? და როდესაც ჩვენ ასეთ კითხვას ვაძლევთ, ვერავითარ პასუხს ვერ ვღებულობთ ვერც ევ. გეგეჭკორისაგან და ვერც სხვა სოციალ-დემოკრატებისაგან, რადგანაც პოლიტიკურ საკითხებისგან ისინი სეკრეტებს ჰქმნიან, რომლის შინაარსს ჩვენ არ გვაცნობენ. რა მდგომარეობა ეხლა საქართველოში? სოციალ-დემოკრატებს სულ არ სურთ ანგარიში გაუწიონ ვისმეს და იმ დროს, როდესაც მინისტრი წერეთელი ყოველ დღე „ცოცხალ ძალთა" გაერთიანებაზე ლაპარაკობს, საქართველოში სოციალ-დემოკრატები მხოლოდ იმას სცდილობენ, რომ ეს „ცოცხალი ძალები" ამოფხიკონ რევოლუციის დაფიდან და არა სოციალ-დემოკრატიული წრეები სრულ უვიცობაში ამყოფონ თავიანთ განზრახვების შესახებ.

მდგომარეობა არა სოციალისტურ წრეებისა საქართველოში ერთის სიტყვით დახასიათდება: ჩვენ „დაგვითხოვეს" რევოლიუციიდან, თუმცა გვითხრეს: ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთო. როდესაც ნაპოლეონმა „ხუთასთა საბჭო" დაითხოვა, აბატ სიეისმა სთქვა; „ამიერიდან ჩვენ გვყავს ადამიანი, რომელმაც ყველაფერი იცის, ყველაფერი უნდა და ყველაფერს იზავს". მაგრამ შეგვიძლიან ჩვენც ესევე ვსთქვათ, როდესაც ჩვენ გვითხოვენ? მე მგონია არა! ჩვენ აქამდის არ ვიცით რა უნდათ მათ, რას იზავენ ისინი! არც ავტონომია, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატებმა აღიარეს, არც „დრო და გარემოება" როდესაც ქართველთა მხედრობა მათის ნებართვით ყრილობას მოახდენს, ჩვენ არაფერს გვეუბნებიან, რადგანაც ყველაფერი ეს მათ პარტიულ საიდუმლოებათ ქცეულა. საქართველო კი ამ პარტიაზე დიდია. არავის არ სურს საერთო ეროვნულ პროგრამის გამოქვეყნება და როდესაც ჩვენ, როგორც ნაწილი საქართველოსი, როგორც ნაწილი მის ინტერესების წარმომადგენლებისა მოვითხოვთ გაგვეზიარონ თავიანთი შეხედულობა, დუმილით გვიპასუხებენ. მაშინ მათ აშკარად უნდა სთქვან, რომ პოლიტიკა და პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე მათი კერძო აზრია, რომელთანაც ხალხს და ერს ხელი არ აქვს.

[library stamp]

[illegible] რომ ისინიც დაიღალნენ. მაშინ პირველი სიტყვა მათ ეკუთვნით და სთქვან, რას ფიქრობენ საქართველოზე, რადგანაც ჩვენ არ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ისინი არაფერს არ ფიქრობენ.

შ. ამირეჯიბი

# ქართული პრესა

გაზეთის „ერთობის" მე-102 №-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი რედაქციის მიმართ ბ-ნის ევგენი გეგეჭკორისა:

„საქართველოს„ 157 ში მოთავსებულია წერილი 28 კორპუსის ქართველ მხედართა დელეგაციის, რომელშიაც ყოვლად უმგვანოთ და შეუფერებლათ არის გადმოცემული ჩემი აზრი ქართველ მეომართა ყრილობის შესახებ.

მე არ ვიცი რათ დასჭირდათ წერილის ავტორთ ჩემი საქციელის და სიტყვების ასე დიმახინჯება. ვფიქრობ, რომ ეს ვაჟბატონები იმ მხედართა კატეგორიას ეკუთვნიან, რომელიც დადიოდა პეტროგრადში ერთი მოღვაწიდან მეორესთან და წარბ-შეუხრელათ, უსინდისოთ არწმუნებდა ყველა იმათ, რომ მე ვიყავი ავტორი და სულის ჩამდგმელი იმ ალმაშფოთებელ აქტების, რომელიც სალდათთა ბრბომ ჩაიდინა ს. [illegible] წაიკითხეს ზემო მოხსენებულ ამხანაგებმა ეს უსინდისოთ მოჭორილი ამბავი, ისინი დარწმუნდებიან, თუ რა ღირსეულნი პირნი ბრძანებულან „დელეგაციის" წევრნი. მთელი ჩემი როლი ამ საუბრის დროს გამოიხატა მხოლოდ იმაში, რომ მე ირ. წერეთელს და კარლო ჩხეიძეს მათივე თხოვნით სრულიად ობიექტიურად გადავეცი ის აზრი, რომელიც აქ თფილისში კავკასიის ჯარის ყრილობამ ერთხმათ გამოიტანა ჯარში ეროვნულ ორგანიზაციების მოწყობის შესახებ. ეს იყო და ეს. ეტყობა „დელეგატებს" ეს არ ეჭაშნიკათ, მაგრამ ეს კიდევ არ აძლევდა მათ უფლებას გადალახონ ყოველნაირი საზღვარი. ასეა თუ ისე, უნდა გამოვტყდე, რომ ეს პატარა მაგალითიც ერთხელ კიდევ მარწმუნებს იმაში, რომ ასეთ პირთ არ ძალუძთ გაუძღვეს იმ საქმეს, რომელსაც ისინი ეპოტინებიან. მე იმდენათ ღრმათ მრწამს ჩვენი ხალხის დიადი მომავალი და ჩვენი მხედრობის ისტორიული როლი, რომ სრული დაიმედებული ვარ, ასეთ „დელეგატების" და მათ ინიციატივას ჩვენი მხედრობა არ მიანდოს თავის ყრილობის, თუ კი ამას დრო და გარემოება მოითხოვს, მოწვევას...

# ომი და ზავი

## დეპეშები

**რუსის ჯარის მხნეობა მატულობს.**

**მოგძავდი ლაშქარი.** მკათათვის 18. სამხრეთ დასავლეთ ფრონტის კომისრის თანაშემწე გობეჩია სასწრაფოთ აუწყებს სამხედრო მინისტრს: „სამხრეთ დასავლეთ ფრონტის ლაშქარი, განსაკუთრებით კი 11 დივიზია რომლის პოლკები ამას წინად თავიანთ ნებაზე სტოვებდნენ ბრძოლის ველს, გენერალ კორნილოვის წინამძღვარობით, დიდ წინააღმდეგობას უწევენ მტერს. გუსიატინის რაიონში ჩვენებმა გაცხარებულ იერიშების შემდეგ ტყვე გერმანელები წამო ყვანეს. ლაშქრის სულიერი მდგომარეობა მთლად გარდაიქმნა და იმედია, რომ იგი თავის მოვალეობას პირნათლად აასრულებსო".

**სარდლის რადკო დმიტრიევის ნაცვლად პარსკი ინიშნება.**

**პეტროგრადი.** ავადმყოფობის გამო ლაშქრის უფროსი რადკო დიმიტრიევი თანამდებობას თავს ანებებს. მის ადგილას გენერალ პარსკი ინიშნება.

**ყაზახ რუსის გენერალი პეტროგრადის ჯარის უფროსათ დაინიშნა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 19. პეტროგრადის ჯარების უფროსად დაინიშნა ყაზახთა გენერალი ვასილკოვსკი.

**ამერიკის ჯარი.**

**ნიუ-იორკი.** მკათათვის 17. ერთი თვის შემდეგ მოიწვევენ 1,250000 ჯარის კაცს. ზომები არის მიღებული რომ მომავალ ზაფხულს ამერიკის ჯარის რაოდენობა 2 მილიონამდე აღწევდეს. სამხედრო გამარჯვებისათვის მთავრობა ყოველივე საშუალებას მიიღებს.

# ფრანგ-ინგლისელთა ჯარის შეტევა დასავლეთ ფრონტზე

**საფრანგეთის შტაბის ცნობა**

**პარიზი.** მკათათვის 19. ოფიციალი. წუხელ ჩვენი ჯარი იზერის არხზე გადავიდა. ღამის 4 საათზე მათ მტერზე იერიში მიიტანეს. ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა მთლად მიწასთან გაასწორა გერმანელების მოსაგერიებელი შენობები. ჩვენმა ჯარმა მტრის ორი ასპარეზი დაიჭირა და ლიზერნ დიკსმუდეს გზით წინ წაიწიეს. ამათან დაიჭირეს სოფელი ვიკსხოოტე და „კორტეკერ"-ის ტრაქტირი. მრავალ ტყვეების რიცხვი ჯერ არ გამოგვირკვევია. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე მრავალი საბრძოლო მასალა. საერთოდ გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს. მდინარე ენის ფრონტზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. როგორც გვატყობინებენ ლია-რუბლეს სამხრეთით ჩვენი ჯარი გამარჯვებით აღფრთოვანებული ყოფილა. მათ საგრძნობლად წინ წაუწევიათ და მოწინავე თხრილებიც ჩაუგდიათ ხელში. სანგრები მთლად გერმანელთა გვამებითაა სავსე. ამ ქამად ტყვეების რიცხვი 210 აღწევს. ჩვენი ზარალი სათქმელი არ არის. შევრინეს აღმოსავლეთით დილას მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ მოვიგერიეთ.

გერმანელებმა სერნიდან მოყოლებული ლურტებიზამდის ფრონტის 1500 მეტრის მანძილზე სამი პოლკით დიდი იერიში მოიტანეს. ჩვენ მოვიგერიეთ და მთელ ფრონტზედ წინ წავიწიეთ. მაასის ორსავ მხარეზე დღეს შედარებით სიწყნარე იყო.

**პარიზი.** მკათათვის 18. ოფიციალი. გუშინ საღამოს ლა-რუბლეს სამხრეთიდან დაწყებული შევრენის ქედის დასავლეთ ნაწილამდის ფრონტის 1500 მეტრის მანძილზე, დაწყებული შეტევა ჩვენს გამარჯვებით დაგვირგვინდა. წამოვიყვანეთ 167 ტყვე; მათში 2 აფიცერი და სხვა და სხვა ქვეითი პოლკების 15 უნტერაფიცერი. სერნიიურტებიზის უბანში გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. შამპანში მტრის იერიში მოვიგერიეთ. მაასის ორთავ მხარეზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

**ინგლისის შტაბის ცნობა.**

**ლონდონი.** მკათათვის 19. ოფიციალი. მდ. ლისის ჩრდილოეთით ჩვენებმა ფრანგის ჯართან ერთად დილის 3 ს. და 50 წ. ფართე ასპარეზით მტრის ჯარზე იერიში მიიტანეს. ჩვენები კვლავ წინ მიისწრაფიან. მათ რამდენიმე ტყვეც ჩაიგდეს ხელში.

**ლონდონი.** მკათათვის 18. იპრის რაიონში იმის და მიუხედავად, რომ ცუდი ამინდი იყო, დილით დაწყებული მოკავშირეთა შეტევა მთელი დღე გრძელდებოდა. ჩვენები მტრის ასპარეზში შეიჭრნენ. ჩვენი ბრძოლის ხაზი 15 მილზე დაწყებული მდ. ლისზე მდებარე ლაბასე-ვილიდან იზერზე მდებარე სტეესტრეტემდის გაფართოვდა. ორივე სოფელი ეხლა ჩვენ ხელშია.

**გემების აშენება.**

**ლონდონი.** მკათათვის 17. ამ ზაფხულზე ინგლისი დაამთავრებს 4 მილიარდი ტონის გემების აშენებას. ამერიკის გემთასაშენი გეგმაც გულისხმობს 3 მილიონის ტონაჟის გემების აგებას და შემდეგ გემთასაშენი ტონაჟი გაორებული იქნება.

[illegible] ამ სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფრონტზე 222 ნახევარ მილის მანძილზე დაიჭირეს ასპარეზი. სამხრობისას ცენტრთან და მის მარჯვნივ გერმანელების კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. ინგლისელთა დივიზიებმა მტრის ასპარეზზე 2 მილის მანძილით წინ წაიწიეს. მათ დაიჭირეს აგრეთვე მდინარე სტეენბოკის ფონები. იერიშების დროს ჩვენებმა ხელთ იგდეს რამდენიმე გამაგრებული პუნქტი. ჩვენებს იერიში მიჰქონდათ ფლერდორენგენის, ფრეზენგენბერგისა და სენ-ჟიულენის სოფლებზე, ცენტას მარჯვნივ მდებარე სოფელი ვოსტკგეკიც ჩვენ ხელშია. ჩვენებმა დაიჭირეს აგრეთვე ლამოსკილის და ხოლლებეკის სოფლები. წამოვიყვანეთ 3500 ტყვე.

**ინგლისელებმა იპრ კომინის არხის სამხრეთით ახალი ასპარეზზი გაამაგრეს**

**ლონდონი.** მკათათვის 19. ოფიციალი. წუხელ იპრ-კომინის არხის სამხრეთით ახალი ასპარეზი გავამაგრეთ. ლაბასევილთან მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. იპრ-რუმლერის რკინის გზასთან მტრის კონტრ-იერიშები ჩვენ არტილერიის ცეცხლმა მოიგერია.

**იტალიის შტაბის ცნობა.**

**რომი.** მკათათვის 19. ოფიციალი. გუშინ 6 დილით მტერმა, საარტილერიო სამზადისის შემდგომ. კრიიზის ლელეებში ჩვენს მოწინავეებზე იერიში მოიტანეს, მაგრამ მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა და მწვერავ რაზმთა შეტაკებაა.

**ბელგიის შტაბის ცნობა.**

**ჰავრი.** მკათათვის 19. წუხელ მტრის არტილერია ფრონტის სხვა და სხვა პუნქტებს უშენდა. ვუმენის მიდამოებში ჩვენმა ბატარეიამ მტრის არტილერია ჩააჩუმა.

**ახლო აღმოსავლეთი.**

**პარიზი.** მკათათვის 17. ვარკლისა და ლემნიცის მიმართულებით და აგრეთვე ვარდარის მარჯვენა მხარეზე თოფის სროლა და ხელით სასროლ ყუმბარებით ბრძოლა სწარმოებს.

**გერმანიის ფლოტი ლიბავასთან იყრის თავს.**

**რიგა.** მკათათვის 17. ახალ ცნობების მიხედვით, გერმანელებმა ლიბავასთან დიდ სამხედრო-საზღვაო ძალებს მოუყარეს თავი. მათ ისინი დანციგიდან და კენიგსბერგიდან გადმოჰყავთ.

**გერმანელთა მფრინავნი რიგის მიდამოებში.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 19. მოპირდაპირის აპარატები, მკათათვის 18-ს შვიდჯერ გამოჩნდნენ რიგის ზღვის ყურის სანაპიროებზედ. არენსბურგთან და მონტოსთან 25 ყუმბარა ჩამოაგდეს. ცერელის კუნძულზედ, მოპირდაპირეთ „ცეპელინმა" გადაიარა.

**გერმანელებმა სინიავკას ყუმბარები ესროლეს.**

**გომელი.** მკათათვის 19. გუშინ მტრის არტილერიამ პოლესის რკინის გზის სადგურ სინიავკას სროლა აუტეხა. 150 ყუმბარაზე მეტი ესროლეს.

**გომელი.** მკათათვის 17. მტერი ზარბაზნებს ესვრის სინიავკის სადგურს დუნინცის დასავლეთით. ჩვენი ბატარეა მედგრად უპასუხებს.

**გერმანელთა ცდა რუმინელებთან დაძმობილებისა.**

**ლონდონი.** მკათათვის 18. რუმინეთიდან მოსულის ცნობით, გერმანელები ცდილობენ რუმინელთა ლაშქარში დაძმობილების საქმე მოაწყონ. ამასწინედ დახვრიტეს 50 გერმანელი რუსის ჯარისკაცის ფორმით გადაცმული. ამ შემთხვევაში გერმანელთა ცდა სულ ამაოა.

**ომის მოწინააღმდეგენი ჯარში.**

**მინსკი.** მკათათვის 18. ყაზახთა კონვოით პოზიციებიდან მოიყვანეს 29 აფიცერი და ჯარისკაცები, რომელნიც ომის წინააღმდეგ აგიტაციას ეწეოდნენ. დაპატიმრებულნი გასცეს თავიანთ ნაწილებმა.

# სარევოლუციო დიქტატურა

[illegible] მონობისაგან სამშობლოს ხსნა არის. კმარა სიტყვები. სადაც ბრძოლაა, იქ ბჭობა-ბაასს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამიტომ კატეგორიულად ვბრძანებ: 1) სამხედრო მოქმედების დროს აიკრძალოს ყოველგვარი მიტინგები და მომქმედ ლაშქრის ნაწილების ყრილობები. იმ შემთხვევაში თუ მათ ცდა განაახლონ, მაშინ, როგორც სამშობლოს და თავისუფლების მოღალატენი იარაღით განიფანტნენ. 2) ეს აკრძალვა ისეთ სამხედრო ბრძანებად ჩაითვალოს, რომელიც არავითარ განსჯას არ ექვემდებარება.

კავალერიის-გენერალი **ბრუსილოვი.**

**სავენკო დაინიშნა სამხედრო მინისტრის ამხანაგად**

**პეტროგრადი.** მკათათვის 19. სამხრეთ-აღმოსავლეთ ფრონტის დროებითი კომისარი სავენკოვი სამხედრო მინისტრის ამხანაგად დაინიშნა. მას დაევალა აგრეთვე, რომ კერენსკის პეტროგრადში არ ყოფნის დროს სამხედრო უწყების სამოქალაქო ნაწილს განაგებდეს და დროებით მთავრობის სხდომებში მონაწილეობა მიიღოს.

**იაკუბოვიჩი ჯარის ორგანიზაციის საკითხისთვის ზრუნავს**

**პეტროგრადი.** მკათათვის 19. სამხედრო მინისტრის ამხანაგი იაკუბოვიჩი, რომელიც კერენსკის ფრონტზე ყოფნის დროს სამხედრო მინისტრის თანამდებობას ასრულებდა ამ ჟამად უკანასკნელ მოვალეობისაგან თავისუფალია. მას ამით საშუალება მიეცა, რომ მთელი თავის ძალღონე ლაშქრის ორგანიზაციის საკითხებს და მთავარშტაბის მართვას მოახმაროს.

**უკრაინელთა ახალი პოლკი და დივიზიონი**

**მოსკოვი.** მკათათვის 19. სამხედრო მინისტრმა მოსკოვის სამხედრო ოლქს უკრაინელ ჯარის ნაწილთა შედგენის ნება დართო. მოსკოვში უკრაინელ ზაპოროჟელთა პოლკი შესდგება. მის უმფროსად დაინიშნება შტაბის კაპიტანი ზახარჩაკი. უკრაინელთა პირველ სათადარიგო არტილერიის ბრიგადიდან პოლკოვნიკ მიკლაშევსკის თაოსნობით უკრაინელთა დივიზიონი შესდგება.

**მთავრობა სტუქსავს ერთს პოლკს, რომელმაც ომში ბრძანებისამებრ წასვლის წინ მსჯელობა იქონია, როგორ მოიქცეს**

**მოსკოვი.** ბრძანება მოსკოვის სამხედრო ოლქს №951. კოვროვში ქვეითა სათადარიგო პოლკმა მიილო-რა ფრონტზე გასვლის შესახებ ჩემი ბრძანება, ნაცვლად იმის ასრულებისა ბჭობა დაიწყო. რამდენიმე მიტინგისა და სხდომის შემდეგ პოლკმა გადასწყვიტა, რომ ბრძანებას დამორჩილებოდა. ყოველივე ბრძანება მიღებისამებრ უნდა სრულდებოდეს. ეს ძირითადი წესი პოლკმა დაარღვია. მან უნაყოფო მსჯელობაში დროს დაკარგვით შინ დროებით დატხოვნის უფლება დაჰკარგა. ვინაიდან მკათათვის 17-ს საბრძოლველად უნდა გავიდეს, ეხლა ამ პოლკიდან აღარავინ დაითხოვნებიან.

**როძიანკოს საუბარი კერენსკისთან მომენტის შესახებ.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 19. საზამთრო სასახლეში ღამის 11 საათზე, როძიანკომ მომენტის ზოგიერთა საკითხებზე კერენსკისთან მოლაპარაკება იქონია.

**შეიპყრეს „ოკოპნია პრავდის ერთი ხელმძღვანელთაგანი**

**რიგა.** მკათათვის 19. ჩრდილოეთის ფრონტის მთავარ-სარდლის განკარგულებით გაზ. „ოკოპნია პრავდა"-ს ერთი ხელმძღვანელთაგანი პრაპორშჩიკი სივერსი შეიპყრეს.

# სამხედრო მინისტრის კაბინეთის ბრძანება

**მინისტრი ნებას არ იძლევა საბჭოებში ფრონტისა და სათადარიგო ჯარისკაცებმა მონაწილეობა მიიღონ**

**პეტროგრადი.** მკათათვის 19. სამხედრო მინისტრის კაბინეთის პოლიტიკურ განყოფილებაში შემოდის [illegible] ნელდება მწვავე კრიზისი და თავისუფალი სამშობლო ხიფათს ასცდება, მაშინ დელეგატების გზავნა უკვე შეიძლება და სათანადო ნებასაც დავრთავთ. გაცნობებთ რა ამას, სამხედრო მინისტრის კაბინეთი გთხოვთ აღარ მოგვმართოთ განზრახულ ყრილობის ნებართვისთვის, ვინაიდან იგი თხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩება.

# სახელ. სათათბიროს წევრთა კერძო ყრილობა

**პეტროგრადი.** მკათათვის 19-ს შემდგარ სახელმწიფო სათათბიროს წევრთა კერძო სხდომაზედ, **ბუბლიკოვმა**, რომელიც ვერ დაესწრო მკათათვის 18-ის კრებას—განაცხადა, რომ გაზეთების შემწეობით იგი გაეცნო გუშინდელ კამათს და აღნიშნა, რომ დეპუტატთა საბჭოს ოფიციალ ორგანმა, სათათბიროს ზოგიერთ წევრთა გამოსვლას კონტრ-რევოლუციონური მოქმედება უწოდა და ბურჟუაზიაც კონტრრევოლუციაში მოაქცია. ბუბლიკოვმა განაცხადა, რომ ბურჟუაზია და მთელი ქვეყანაც ელიან წესიერების მალე დამყარებას რუსეთში. გუშინდელ დახასიათებებს იგი სოლიდარობით ვერ მოეპყრობა. **სუხანოვმაც**, რომელიც წინა კრებას ვერ დაესწრო მწუხარება გამოსთქვა, რომ გუშინდელ სხდომამ გვერდი აუხვია 27 თებერვლის მაღალპატრიოტულ პოზიციას. **მახლენნიკოვმა** ბუბლიკოვის და სუხანოვის განცხადება თავის თავზე მიიღო და განაცხადა, რომ ის ყოველთვის მხარს უჭერდა დეპ. საბჭოს, მაგრამ გუშინ იგი პირველად ამხილა სათათბიროს დათხოვნისთვის. ამასთანავე იგი ხელმძღვანელობდა არა იმ სურვილით, რომ რევოლუციისაგან ბრძოლით შენაძენი გაენადგურებინათ, არამედ დიდებულ და თავისუფალ რუსეთის დაცვის შეგნებით. **პურიშკევიჩი** აცხადებს: „სათათბიროს ყველა წევრნი ილებდნენ მონაწილეობას ბიუროკრატიზმის დამხობაში, უფლების, სამართლის და თავისუფლების განმტკიცებაში. კონტრ-რევოლუციონერებს სათათბიროში ადგილი არცა ჰქონიათ და არც ექმნებათ. თუ ჩვენ გამოსვლას კონტრ-რევოლუციონურ ცდას ვუწოდებთ ეს საზოგადოებრივი აზრის დამხობა იქმნება მაშინ, როცა სიტყვის თავისუფლებაა გამოცხადებული. **ლვოვმა** განაცხადა: „გუშინდელ წევრთა გამოსვლანი, გამოწვეულია რუსეთის სიყვარულით, რომელიც გვაიძულებს ყველაფერი ავიტანოთ. **როძიანკო**—კამათს დასრულებულად ჰსთვლის და ამბობს: რომ სირცხვილი იქმნებოდა აქ თავის გამართლება. ვთომცა კონტრ-რევოლუციონურ ბრალდების გამო—ცოდვად ჩაითვლებოდა, რომ სათათბირო ამხობდეს იმ საქმეს, რომელიც თვითვე შექმნა.

სხდომამ მოისმინა აგრედვე **ხარლამოვის** სიტყვა კავკასიის საქმეთა შესახებ. მან განაცხადა: კავკასიაში სოლიდარობაა განმტკიცებული—ორ მთავრობა არა ყოფილა, სეპარატიულ მისწრაფებას იქ ადგილი არა აქვს. კავკასიის ლაშქარი—ღირსია დიდი პატივისცემისა და განცვიფრებისა; მასში არ ჰსუფევს განხეთქილება იგი არ ილტვოდა ომიდან.

**კაპნისტის** წინადადებით დადგენილი მისალმება გაეგზავნოს კავკასიის ლაშქარს.

# ფინეთის სეიმის დათხოვნა

**ჰელსინგფორსი.** მკათათვის 19. დროებით მთავრობის მანიფესტით ფინეთის სეიმი დათხოვნილია. დრ. მთავრობის მანიფესტი დათხოვნის შესახებ ხელმოწერილია მკათათვის 18-ს და ჰელსინგფორსში დღეს მოიტანეს. მანიფესტის მიღების შემდეგ, 15 საათს, გენერალ-გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა სენატის სხდომა. გენერალ-გუბერნატორმა განაცხადა, რომ მთავრობამ იხმარა ყოველივე საშუალება შეთანხმებისთვის, და რადგანაც არ მოისურვა მატერიალ ძალის ხმარება-გამოწვევა მიემართნა [illegible] მკათათვის 18-ისთვის სენატი დაეთხოვნა. შემდეგ გენ.-გუბერნატორმა გადასცა მანიფესტი ვიცე-თავმჯდომარეს და წარმოსთქვა: გაითვალისწინა რა დრ. მთავრობამ, თუ რა მნიშვნელობას აძლევენ ფინეთში 8 ს. სამუშაო დღის კანონს და თვითმართველობის საზოგადოებას,—დამავალა, გადამეცა სენატისთვის რომ თუ ეს კანონები მის ყურამდე მიაღწევს—მაშინ დაუყონებლივ დაამტკიცებს. ხოლო თუ იგი არ იქმნა წარდგენილი დრ. მთავრობის დასამტკიცებლად, მაშინ უკანასკნელი შეიტანს ახლად მოწვეულს სეიმის დაწვრილებით შინაარსში. შემდგომ ამისა სენატის სხდომა შეწყდა. გაიხსნება 20-ს და მაშინ გადაწყდება სეიმის დათხოვნის მანიფესტის გამოქვეყნება. სხდომა კვლავ შესწყდა სენატორთა სურვილის მანიფესტის გამოქვეყნების გამო. ყოველს შემთხვევაში, თუ სენატმა გადასწყვიტა მანიფესტის გამოქვეყნება, მაშინ ხვალ, შუადღისას შესდგება სეიმის სხდომა, რომელზედაც მანიფესტი გამოქვეყნდება.

# დაღესტანში იარაღის აყრის ბრძანების გამო

„ჩრდ. დაღესტ."-ში დაბეჭდილია დაღესტნის ოლქის კომისრის მ. მ. დოლგატის ცირკულიარი:

„გოლ. დაღ."-ის მე-10 №-ში დაბეჭდილია საოლქო კომისრის ჰაიდაროვის ცირკულიარი მცხოვრებთა იარაღის აყრის შესახებ. როგორც კომისარიატის წევრი, მე პროტესტს ვაცხადებ ბ. ჰაიდაროვის ასეთ ბრძანების გამო, რადგანაც ასეთი სერიოზული განკარგულება, რომელიც ეხება მცხოვრებთა სასიცოცხლო ინტერესებს, და რომელიც გამოიწვევს ჩრდილო-კავკასიის და დაღესტნის შეერთებულ ყრილობის გულისწყრომას. ასეთ ბრძანების გამოცემა ბ. ჰაიდაროვს არ შეეძლო ვიდრე ჩემთან, როგორც კომისარიატის და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტის წევრთან, არ შეთანხმდებოდა. ამისთვის მივმართავ საოლქო კომისარებს და კომიტეტებს, კომისარ ჰაიდაროვის ცირკულიარი (15 თიბ.) № 9458 სწორედ არ ჩათვალონ და სისრულეში არ მოიყვანონ, მით უმეტეს, რომ იგი ეწინააღმდეგება ჩრდ. კავკასიის და დაღესტნის კავკავში მომხდარ ყრილობის დადგენილებას, რომლითაც ყოველგვარ იარაღის ტარება ნებადართულია, გარდა სამ-ხაზიან სახელმწიფო ვინტოვკებისა.

ნამდვილზედ ხელს აწერს: სახელმწიფო სათათბიროს წევრი დაღესტნის ოლქთა კომისარი

მ. მ. დოლგატი.

# „საქართველოს დეპეშა"

**მთავარ ანგელოზის ეკლესიის გარშემო.**

დუშეთის მაზრის მესამე ოლქის სამღვდელო ყრილობა დიდ უკმაყოფილებას უცხადებს ჰრ. ზენეშევიჩს და ბაქოს ეპისკოპოზს მთავარ ანგელოზის წმინდა ქართულ ეკლესიის და ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის მიმართ უსამართლო მოქმედებისათვის.

# ქრონიკა

## თბილისი

✦ **ინჟინერებისა და ტეხნიკების ყრილობა.** დღეს, მკათათვის 21-ს, „ახალი კლუბი"-ს ბაღში დაიწყება ამიერ-კავკასიის ინჟინერთა და ტეხნიკოსთა დელეგატების ყრილობა. ქართველ ტეხნიკოსთა საზოგადოების მხრივ ყრილობაზე დელეგატებად არჩეული არიან გ. კ. გედევანიშვილი და ნ. რ. ლეჟავა, ქალაქის გამგეობამ თავის მხრივ აირჩია ს. ლისიცინი და კოჩაროვსკი.

✦ **თბილისის სამალოსნო სკოლა.** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მიერ არჩეულ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ივ. ალიბეგოვმა წარუდგინა საზოგადოების საბჭოს მოხსენება სამალოსნო სკოლაში მომხდარ რევიზიის შესახებ და სთხოვს საბჭოს, რომ ეს მოხსენება განსახილველად წარუდგინოს საზოგადოების წევრთა საერთო კრებას. მოხსენებაში აღნიშნულია მრავალი ნაკლულევანებანი სკოლისა.

✦ **შინეგისეულ სახლის დასამთავრებლად** ქალაქის გამგეობა კიდევ სთხოვს ქალაქის საბჭოს 17.000 მანეთს. მკითხველებს ემახსოვრება, რომ ქალაქის საბჭომ, თანახმად გამგეობის მოხსენებისა, ორჯერ ზედიზედ მიუმატა მოიჯარადრეს ამ სახლის ასაშენებელი ქირა.

✦ **არშაკ ზურაბოვის საქმე.** ამიერ კავკასიის სოც.-დემოკრ. პარტიის

სოოლქო კომიტეტმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა ბურცევს პეტროგრადში: ჩვენი თანაწევრის მე-2 სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ზურაბოვის წინააღმდეგ თქვენ მიერ წამოყენებულია სასტიკი ბრალდება. ვთხოულობთ დაუყონებლივ გამოაქვეყნოთ საბუთები. წინააღმდეგ შემთხვევაში ნება გვექნება თავისუფალ მოქმედებისა“.

✦ **საბრალო მოხუცი.** თბილისის მე-9 ნაწილში რევაზოვის ქუჩ. № 5, სცხოვრობს მღვდელი დიმიტრი ანდრიაძე მეტეხელოვი. ღრმათ მოხუცებულ და მძიმეთ დაავადებული. მოხუცს აკლია თვალის სინათლე და სიარულიც არ შეუძლიან, დიდ სიღარიბესთან ყოველდღიურს სიმშილს განიცდის. პატრონი და შემბრალე არავინ მოეპოვება. ერთი შვილი ჯარში ჰყავს წაყვანილი, მეორე ცოლშვილის პატრონია და საკმარისად კაი ჯამაგირის ამღები. კახეთის რკინის გზაზედ მუშაობს, ეს გახლავს მიხეილ დიმიტრის ძე მეტეხელოვი. მოხუცი მიმართავს ამ ამბით თავის შვილს და სთხოვს, რომ ამ მოხუცს თავისმა შვილმა მიხედოს—უშველოს. იმედია ეს მიმართვა არ დარჩება უყურადღებოთ. მოხუცს მარტოკა ცხოვრება აღარ ძალ-უძს. ამას მომვლელი და პატრონი უნდა უსათუოდ.

## კავკასია

✦ **კავკასიის რუსთა საზოგადოება.** ბაქოში დაარსდა კავკასიელ რუსთა საზოგადოება. მან შემდეგი პროგრამა გამოსცა: 1) რუს მოქალაქეთა გაერთიანება ეროვნულს ნიადაგზე. 2) რუსთა და კავკასიელთა დამოკიდებულების გაუმჯობესება. 3) კავკასიის სხვა ერებთან სოლიდარობის დაჭერა და ყოველგვარ მიზეზების მოსპობა, რაიცა კი ეროვნულ შუღლსა ჰბადებს. 4) მატერიალი შეწევნა საზოგადოების წევრთათვის: ა) ავადმყოფობის დროს, ბ) გარდაცვალებულის ოჯახს, გ) ცეცხლისა, ძარცვა გლეჯის და სხვა უბედურ შემთხვევისაგან დაზარალების გამო. 5) უმუშევართათვის სამუშაოს პოვნა. 6) გონებრივი და ზნეობრივი განვითარება ლექციებით და სხვ.

✦ **პოლიტეხნიკუმი თბილისში ენკენისთვიდან გაიხსნება.** ხმოსან ა. ს ბაზოვმა შემდეგი დეპეშა მიიღო პეტროგრადიდან: დღეს სახალხო განათ. სამინისტროში შესდგა კრება ნოვიკოვის თავმჯდომარეობით. სამინისტროს გამგის პოკროვსკის და სხვა პროფესორთა დასწრებით. საბოლოოდ გადაწყვეტილია შემოდგომიდან გაიხსნას აგრონომიული ფაკულტეტი. დეკანად და დირექტორის თანამდებობაზედ ამორჩეულია ზახაროვი, დეკანებად—ზოოლოგი მეიერი, ფიზიკოსი მანდელშტამი და ბოტანიკოსი მიშჩენკო. ქიმიის და მინერალოგიის კათედრები ჯერ-ჯერობით ცარიელია. ეკონომიურ ფაკულტეტს გახსნა იანვარში მოხდება, დანარჩენ საგნებისა—შემდეგ. განზრახულია პოლიტეხნიკუმის თანდისთანობით გადაქცევა უნივერსიტეტისა და ტეხნიკურ განყოფილებებით“.

## საქართველო

✦ **ქუთაისის გუბერნიის სამასწავლო ოლქის** კომისარიატი სთხოვს საქართველოს გარეთ მოსამსახურე ქართველ მასწავლებელთ შეძლებისამებრ დაჩქარებით აცნობონ მას თუ რომელსამე სურს გაქართველებულ სასწავლებელში პირველ-დაწყებითის უმაღლეს სასწავლებელსა და საშუალო სასწავლებლის პირველს ოთხ კლასში სამსახური.

✦ **ახალი სკოლები.** მომავალ შემოდგომიდან ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება ახალი სკოლების გამართვას აპირებს საინგილოში, აჭარასა და ახალციხის მაზრაში.

✦ **დეზერტირების დატუსაღება.** გორის აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით რკინის გზის სადგურები და ვაგონები გაუჩხრეკნიათ ხაშურსა და გორს შუა. დატუსაღებული დეზერტირები გორში მიუყვანიათ და სასულიერო სასწავლებლის შენობაში მოუთავსებიათ.

## ჩაჩნების ყრილობა

მკათათვის 12-ს სოფ. ახალ-ალდში (ქალ. გროზნიდან 4 ვერსზედ) დაიწყო ჩაჩნების გრანდიოზული ყრილობა. ყრილობის უმთავრესი მიზანი იყო—შესაფერ ზომების მიღება ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ. ყრილობას 7000 კაცი დაესწრო. იყვენ წარმომადგენლები: გროზნის მუშათა საბჭოსი, ჯარისკაცთა და ყაზახთა დეპუტატებისა, ყიზლიარის ყაზახებისა, კავკასიის ლაშქრის მთავარსარდლის წარმომადგენელი პოლკ. მოისეევი—ლაშქრის ცენტრის და საბჭოთა წარმომადგენლები და სხვ.

ყრილობამ დაადგინა სასტიკად ებრძოლოს ძარცველებს. გადაწყვეტილ არის თითო კომლს შეეწეროს ერთი თუმანი პასუხისმგებელ მილიციის დასაქირავებლად. ყრილობამ დაადგინა ებრძოლოს ყაჩაღობას შარიატის (?) თანახმად: დასჭრან ქურდებს ხელი, ფეხი და სხ.

ყრილობაზედ გამოიყო ჩაჩნების საბჭო ამ საკითხის სწრაფად შესამუშავებლად. მოლებისგან დაარსდა შარიატების კომისია. ჩაჩნების საბჭოს სხდომა მოხდა ქალ. გროზნოში მკათათვის 13-ს ყრილობამ განაცხადა, რომ მთელი ჩაჩნობა მზად არის ყოველივე ღონისძიებას მიმართოს ძარცვა-გლეჯის და ყაჩაღობის მოსასპობად.

## პროვოკაცია კავკავში

მკათათვის 6-ს საღამოთი კავკავში ხმა გავარდა, რომ შეიარაღებული მთიელები მოდიან კავკავზედ თავდასასხმელადო,

რასაკვირველია, ეს პროვოკაცია იყო და სხვა არაფერი. ამ შემაძრწუნებელ ხმებმა ქალაქში დიდი მღელვარება გამოიწვია. მიჰქროდნენ ავტომობილები, ეტლები, მირბოდნენ შეიარაღებული ჯარის-კაცები. საერთოდ მათი სამზადისი ადამიანს ომიანობას მოაგონებდა.

ქალაქს გარედ ჯარი შეგროვდა. რიგით იდგნენ ყაზახია და ჯარის-კაცთა სამხედრო ნაწილები, ჰქონდათ ორი ტყვიისმფრქვეველიც. ერთი სიტყვით გაჩაღდა ნამდვილი სამხედრო მოქმედება, ხოლო მტერი კი არსად არ სჩანდა.

ჯარი რასაკვირველია, უქმად არ იდგა და ყოველ მხრივ ისროდა მთელს ფრონტზე. მოპირდაპირე კი მაინც არსად სჩანდა. მალე დაიწყო ტრაღედია, გამვლელ-გამომვლელთ იჭერდნენ და სულ მცირე წინააღმდეგობისათვის—სიცოცხლეს ასალმებდნენ. მდგომარეობის საშინელებაც მასში გამოიხატებოდა, რომ ვერავის მოწოდებამ ვერ გაჰკრა შეჩერებინა გამხეცებულ ბრბოს და ჯარის-კაცთა საქციელი. მალე მიწაც ადამიანთა ცხელი სისხლით შეიღება. დაბრუნებულმა ბრბომ ახლა ქალაქში მოახდინა სრული განწმენდა „ბურჟუაზიისა“, აქაც დახოცა ბევრი უდანაშაულო. პროვოკაციის თესლმა ნაყოფი გამოიღო და ბედკრული მთიელები, რომელთაც არა ერთხელ და ორჯერ უგემიათ ასეთი ამბები—გახდნენ მსხვერპლნი პროვოკატორთა წასისინებულ ენისა.

## † ვასილ ფავლენიშვილი

ჩვენ ქართველობაში სხვა მრავალთა შორის არის ერთი ფრიად მამაცი და წარჩინებული პოლკოვნიკი ვასილ ივანეს ძე ფავლენიშვილი, რომელიც ამ საშინელი ომის დასაწყისიდან დღევანდლამდე ომში იბრძვის თავისის ორი ვაჟი შვილით. ამ მამაშვილების ბედის ჩარხი ისე დატრიალდა, რომ ერთი ვაჟი ტყვეთ ჩაუვარდათ გერმანელებს ომის დასაწყისშივე, მეორე კი—გუშინ წინ დაიღუპა, დაიღუპა გმირულის სიკვდილით. ალექსანდრე ვასილის ძე ფავლენიშვილმა შეისწავლა რადიოტელეგრაფის ხელოვნება და ირიცხებოდა კავკასიის ფრონტზე „მზვერავად“. 23 წლის ყმაწვილი კაცი, ჯან-ღონით აღსავსე, ამ ერთი წლის წინად მაღალაშვილის ქალზედ დაქორწინებული, გმირულის გრძნობით აღმატებული მყუდრო ცხოვრების დიდი წინააღმდეგი დღევანდელს დღეს, წავიდა ომში დასაზვერავად. განსვენებული ამბობდა, რომ მინდა რამ სარგებლობა ვუჩვენო ჩემს სამშობლოს დღევანდელს გაჭირებულს ჟამს, მინდა შევსწირო თავი სამშობლოს თავისუფლებას და... აუსრულდა კიდეც, მტერმა შეჰნიშნა აეროპლანი, დაუმიზნა ზარბაზანი და ჩვენი საშა თავისის ამხანაგით გმირულად დაიღუპნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ. ტკბილი იყოს სამარე შენი, ძვირფასო და დაუვიწყარო საშა, ნეტავი შენ, რომ შეასრულე შენ შენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

კოტე ყიფიანი.

## რევოლუცია და მანეთიანის კურსი

მცხოვრებთა ფართე მასსა, არასოდეს ისე არ დაინტერესებულა მანეთიანის კურსის მოძრაობით უმთავრეს ბაზრებზედ, როგორც დღევანდელ ომის დროს. ახალ სავალუტო საკითხზე მსჯელობენ არა მარტო შედარებით მცირეოდენი რიცხვი თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების.

რუსეთის რომელიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება თუ დამარცხება მაშინვე წამოჰშლის ხოლმე საკითხს: რანაირ გავლენას მოახდენს იგი მანეთიანის კურსის მდგომარეობაზედ?

# მე ქართველი ამომრჩეველი ვარ!

**არჩევნებში ჩემს მონაწილეობაზეა დამოკიდებული გამარჯვება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა, რომელსაც მე თანავუგრძნობ.**

**რას აკეთებენ ჩემთვის და ან მე რა უნდა გავაკეთო, რომ ჩემი უფლება განხორციელდეს?**

## მე გამომიგზავნიან

1) **სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიათა კანდიდატების სიებს.**

2) **საამომრჩევლო ბარათებს, რომლებზედაც წარწერილი იქნება ჩემი, მამის სახელი და გვარი.**

3) **საამომრჩევლო ქაღალდს (დაუწერელ თეთრი ქაღალდის მერვედს) ქალაქის საამომრჩევლო კომიტეტისგან.**

4) **საამომრჩევლო ქაღალდებს იმ პარტიებისა და ჯგუფებთაგან, რომელთაც ხმოსნობის კანდიდატების სია აქვთ წარდგენილი, ამ ქაღალდებზე პარტიათა სიების ნუმერი იქნება დაბეჭდილი.**

## მე რა უნდა გავაკეთო?

1) **ის ნომერი, რომელსაც ხმას მივცემ—იქნება ეროვნულ-დემოკრატებისა**

**— № 2 —**

2) **ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-2 № ით უნდა შევცვალო ქალაქის საამომრჩევლო კომიტეტის ბარათი, ან ზედ წავაწერო უკანასკნელს № 2.**

**ჩემი რაიონის საარჩევნო ყრილობაზედ წასვლის დროს, არ დამავიწყდება თან წავიღო ბარათი და კონვერტი საარჩევნო წერილით (ზაპისკით).**

მანეთიანის კურსი უცხოელთა ბაზრებზედ—არის ბარომეტრი, რომელზედაც ყოველდღე შეგვიძლია ცოტ-ცოტათი ამოვიკითხოთ რუსეთის რომელიმე დიდი ამბავის—ანარეკლი. ესევე ბარომეტრი გვიჩვენებს, თუ როგორ ენდობიან უცხოელები რუსეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების შნოსა და უნარს. ამისოთ რუსეთის მანეთიანს დიდი ხანია ფასი მოაკლდებოდა უცხოელთა ბაზარზედ.

უნდა გავითვალისწინოთ რომ საანგარიშო ბალანსის პასსივობამ, ომის დროს, უმაღლეს ზომებს მიაღწია. ამ დეფიციტის დასაფარავად არა კმარა მთელი ოქრო სახელმწიფო ბანკის და საზღვარ-გარეთისა. რუსეთს არ აბადია კიდევ უცხოელთა ღირებულებანი, რაიცა ინგლისის და საფრანგეთის მაგალითით, შეიძლება გამოდგენილ იქმნას საერთაშორისო ანგარიშის მოწესრიგებით.

ომიანობისას, მხოლოდ ერთი საშუალება გვქონდა ხელთ—სესხის აღება უცხოელთა ბაზრებზედ და მართლაც ამ საშუალებით ჩვენ ვისარგებლეთ: ჩვენ ვისესხეთ დიდძალი ფული ინგლისისგან, საფრანგეთისგან, აგრეთვე ხშირად ვავრბოდით იაპონიისაკენ და ამერიკაშიც. ძველს მთავრობას, რომელიც ხალხის ნდობით არა სარგებლობდა, არ შეეძლო დიდრიცხოვან სესხის აღება. ჩვენმა მოკავშირეებმა თითქმის წინდაწინვე იცოდნენ, რომ ერთს მშვენიერს დღეს, რუსეთი დაამსხვრევს „მეფობის“ ბორკილებს და რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების გაფურჩქვნას ბრწყინვალე დღე დაუდგება.

რუსეთს შეუძლია დაკარგულის მალე დაბრუნება და ეკონომიურის მხრივ მალე დაჰფარავს თავის ზარალს.

1917 წ. თებერვალს რუსეთს და მის მოკავშირეთ სანატრი ოცნება აუსრულდათ რევოლიუციამ აღგავა პირიდან დედამიწისა, მეფის ტვირთი, რუსეთიც ეზიარა მოწინავე და თავისუფალ ქვეყნებს.

ბუნებრივი იყო ის ლოდინი, რომ ჩვენი მოკავშირენი თავის ნდობას ახალ რუსეთისადმი გამოაცხადებდენ რუსულ მანეთიანის კურსის მდგომარეობის გაუმჯობესებით—თავიანთ ბაზრებზედ. ასეც მოხდა: პარიზში, ლონდონში, მანეთიანის კურსი, რევოლიუციის შემდეგ თითქმის 15 აპრილამდე როდესაც პეტროგრადში გაისმა ანარქიული ლოზუნგები—დღითი დღე არსებითად უმჯობესდება. აპრილის 18-დან, მკათათვის 18-ამდე ანარქიის ბატონობის გამო პარიზ-ლონდონში რუსული მანეთიანი ძალიან დაეცა და ორივე ცენტრში სულ მცირეოდენ ღირებულებამდე მივიდა.

## მევენახეთა მდგომარეობა ჩვენში

რუსეთის შინაური მოუწყობლობის წყალობით უმაგალითო ომმა მეურნეობის თუ მრეწველობა-წარმოების ყოველივე დარგს საშინელი დაღი დაასვა. დიდი აურ-ზაური შეიტანა აგრეთვე მეღვინეობა-მევენახეობაში. მევენახენი შეუკავშირებელნი, დაქსაქსულნი, მიტოვებულნი არიან ღვთის ანაბარათ და მათი მდგომარეობა დამოკიდებულია ათასგვარ შემთხვევებზედ.

მევენახეთა მთელი ყურადღება ამ ჟამად განსაკუთრებით ვენახებისთვის საჭირო საწამლებელ მასალის შოვნაზე არის მიმართული და ყოველივე სხვა კითხვა, რომელთაც უპირველესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი მევენახეობისთვის, სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული, მეტადრე ჩვენს პატარა მეურნე ქვეყანაში.

მიუხედავად იმისა, რომ მევენახეობას პირველი ადგილი უჭირავს—მწარმოებელნი როგორღაც გაყუჩებულნი შევყურებთ ჩვენს მდგომარეობას. საჭირო კია ავამოქმედოთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე რომ ჩვენი მეურნეობის უმთავრესი დარგის განვითარება უზრუნველვყოთ.

ვინ არ იცის, რომ შაბიამანი და გოგირდი ჩვენში განსაკუთრებით საზღვარ-გარეთიდგან შემოდიოდა ომის დაწყებამდე; ვინ არ იცის, რომ რუსეთში დიდძალი მადანი ძევს, როგორც სპილენძისა (რისგანაც შაბიამანი კეთდება) ისე გოგირდისა! მაგრამ... ვინ არ იცის, რომ რუსეთში რისამე გაკეთება ყოვლად შეუძლებელია და... აკი ვერც მოახერხეს რისამე გაკეთება, და ხელი ისევ ინგლის-იტალიისაკენ გაიშვირეს გოგირდ-შაბიამნისათვის, თუმცა ამ მხრივაც ჩვეულებრივი დაუდევრობა და ბიუროკრატიული „დარბაისლობა“: გამოიჩინა მიწადმოქმედების სამინისტრომ იმის მაგიერ რომ თვისი თაოსნობით მოეწყო საჭირო წამლების შემოტანა თავის დროზედ საზღვარ-გარეთიდან—არჩია კერძო პირისთვის (ფრიდონოვისთვის) გადაეცა ეს საქმე რომელსაც შესაფერი დახმარება და კონტროლიც კი ვერ გაუწია.

მაგრამ თუ წამლების ნაკლებულობა დროებითია, სამაგიეროთ, როგორც ზევით ვსთქვით, სხვა და სხვა გარემოებათა წყალობით მევენახეთა მდგომარეობა ბევრით კიდევ უარესია და აი რატომ:

ჯერ ომის გამოცხადების უმალვე უმაღლესი განკარგულებით აიკრძალა **მაგარი სასმელების** ვაჭრობა მთელს იმპერიაში და აირია მონასტერი: ღვინო, არაყი, სპირტი, ლუდი, ხილის ღვინო (სიდრი) სულ ერთ კატეგორიაში მოაქციეს და მთლათ აკრძალეს მათი ვაჭრობა. ცოტა ხანს შემდეგ ამ კითხვათა გადაწყვეტა და ამა თუ იმ სასმელით ვაჭრობის ნების დართვა, ანუ აკრძალვა, მიენდოთ ადგილობრივ მმართველთ ე. ი. გუბერნატორებს, ოლქის უფროსებს. უკანასკნელთ თავისი მხრით მიანდეს მაზრის უფროსებს, პოქაულებს, ქალაქის პოლიციას და შეიქმნა ანარქია: ერთ გუბერნიაში არყით ვაჭრობენ—მეორეში ლუდიც აკრძალულია. ერთ და იმავე გუბერნიაში ერთ ქალაქში ნება დართულია მაგარი სასმელებით ვაჭრობა—მეორეში აკრძალულია. ერთ და იმავე ქალაქში ერთ საპოლიციო უბანში ვაჭრობენ—მეორეში არა. ერთ რესტორანში ღვინოს იშოვნი და იქვე გვერდზედ კი, ღვინის საწყობში, აკრძალულია ოჯახისათვის ერთი ბოთლი ღვინის სყიდვა. ხმის ამომღები არავინ არის, გარდა თვით ღვინით მოვაჭრეებისა- რომელნიც არც ფულის ხარჯვას ერიდებიან და ზოგი მიზანსაც აღწევს. ჩვენ კი, მევენახენი, ვდუმთ.

ბოლოს თითქოს თვით მთავრობამაც დაინახა ამგვარი ვითარების შეუსაბამობა და საკანონმდებლო დაწესებულებათაგან მოწონებული უმაღლესად დამტკიცებული კანონი მოგვთავაზა „ყურძნის ღვინის“ მომზადება ვაჭრობის შესახებ. დაწესდა ღვინოზედ სახელმწიფო გარდასახადი, დანიშნენ განსაკუთრებული აგენტები (ჯერ მარტო თბილისის კომიტეტთან 8 კაცი) რომელთაც თვალყური უნდა ადევნონ, რომ ბაზარზედ მარტო საღი და ბუნებრივი ღვინო იყიდებოდეს. სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვაში შემოსავალში ჩაწერეს კიდეც 18 მილიონი მანეთი, რომელიც მთავრობამ ღვინოზედ გარდასახადიდგან უნდა აიღოს (ვედრაზედ 1—60 კ.) და ჩვენც მევენახეთ გულზედ მოგვეშვა: „თუმცა ჩვენს ნაწარმოებს გარდასახადი დააწვა, მაგრამ სამაგიეროთ კანონის მფარველობის ქვეშ დაყენდა მეღვინეობა, და მისი გაყიდვა-გასაღებაც ამიტომ უზრუნველ-ყოფილი იქნებაო“. ლოღიკაც ამასვე ამბობდა:—არა, როგორ წარმოიდგენდით, რომ წარმოება-მეურნეობის იმ უკიდურეს მდგომარეობაში და ხალხის სიღატაკეში, რომელსაც ომის გამო რუსეთი განიცდის. რუსეთის იმპერიის მთელი 8 მილიონ მცხოვრებთა არსებობა, (რომელნიც განსაკუთრებით მევენახეობით და მეღვინეობით იკვებებიან) დამოკიდებული იქმნებოდა შემთხვევით დანიშნულ ადმინისტრატორთა პირად შეხედულება-მოსაზრებებზედ. 3 მილიონიანი სერბია ომის მსხვერპლი შეიქნა და ქვეყანა შეძრწუნდა. და აქ ხომ 8 მილიონ მცხოვრებს მოელოდა სრული დაღუპვა და მისი მეურნეობის მიწასთან გასწორება. მეტადრე ღვინით ვაჭრობა არავითარ ზიანს არ მოუტანდა ომის მსვლელობას, როგორც არ მოაქვს საფრანგეთში, იტალიაში თუ სხვაგან. ამიტომ გვწამდა, რომ მთავრობა მიიღებდა ზომებს მევენახეთა ინტერესების დასაცავად.

მაგრამ სამწუხაროდ იმედი არ გამართლდა, კანონი კანონად დარჩა ქაღალდზედ, სათანადო დაწესებულებანი და მოხელენი დანიშნულ იქმნენ, „პატენტები“ გასცეს, სააქციზო ბანდეროლები დაბეჭდეს და დაყიდეს, და ღვინით ვაჭრობის ნებართვა კი ისევ ადგილობრივ ადმინისტრაციას მიანდეს.

ამიტომ ღვინის გაყიდვა მოსკოვში აკრძალულია, ხარკოვში ნებადართულია, კიევში აკრძალული, თბილისში ბოლო დრომდე ნებადართული იყო და ასე და ამგვარად. ეს კიდევ არაფერი. საარაკო მაგალითებს მოვიყვანთ: ბათომში კომენდანტის განკარგულების თანახმად ერთ კაცს (ლოთობის აღკვეთის მიზნით) არ შეუძლიან ერთ და იმავე დღეს ერთ ბოთლზედ მეტი ღვინის სყიდვა. ამიტომ სარდაფში, სადაც ღვინოს ყიდულობთ, სწერენ თქვენ გვარს და სახელს (ღვთის წყალობით „ბაზფორას“ არ კითხულობენ), და რომ სხვა სარდაფში მეორე ბოთლი არ იყიდოთ, ყველა სარდაფებიდგან, აგროვებენ ყოველ დღე იმ წიგნებს, სადაც თქვენი გვარიც სწერია, ვიღაც ჩაუჯდება ამ დავთრებს და სინჯავს, ხომ არ უღალატეთ სამშობლოს და ერთის მაგიერ ორი ბოთლი ღვინო არ იყიდეთ. ჰკუას ახლოა განა!..

მაგრამ როგორც ეხლა ბაქოს ქალაქის უფროსს არ მოსწონებია ზემო მოყვანილი განკარგულება, იგი ჰკრძალავს ერთ კაცზედ ერთ ვედრო ღვინოზედ ნაკლების მიყიდვას, რადგან ამ სახით ყველა ხელმოკლეს საშუალება არ ექნება ღვინის სყიდვისა: ერთ ბოთლს ყველა იყიდის (1 მ.—1 მ. 20 კ.). ერთბაშად ერთი ვედრის სყიდვა კი (16 მ.—19 მ. 20 კ.) ყველას არ შეუძლია. ესეც ჭკუას ახლოა... მაგრამ ხომ შეუძლიათ, რომ 10—15 კაცმა თავი მოიყარონ და ერთი ვედრო იყიდონ? და ალბად ასეც ხდებოდა, რომ 1 აპრილიდან გრადონაჩალნიკად ნამყოფმა კოვალიოვმა ერთ კაცზედ **ათ ვედროზედ ნაკლები ღვინის გაყიდვა აკრძალა.** ვინც დაარღვევს ამ დადგენილებას, მას ყოველივე [illegible] სასჯელი მოელის. მაშასადამე ეხლა ყოველმა ბაქოელმა, რომელიც ღვინის მირთმევაზე ხელის აღებას არ იკადრებს, უნდა მოაწყოს საკუთარი სარდაფი (10 ვედრო ღვინოს, მოგეხსენებათ, 160 მან. ფული, კარგა ადგილი, ჭურჭელი და შესაფერი შენობა დასჭირდება, მეტადრე ბაქოს სიცხეებში), იყოლიოს მცოდნე მეღვინე და ღვინის გადაღება გადმოღებაში იყვეს (1 წლამდე ხომ ბევრს გაჰყვება ათი ვედრო ღვინო).

კავკავში სამაგიეროდ სრულიად აკრძალულია ღვინით ვაჭრობა... არყისაც! მაგრამ კავკავში აუარებელი არყის სახდელი ქვაბები შემოაქვთ ვაჭრებს, ეზიდებიან რკინის გზით, ნარიადებს აძლევს მთავრობა, ჰყიდიან საქციზო უწყების შემოწმებით და ამბობენ რომ იმდენი ქვაბები, რაც ამ ერთ წელიწადში გაიყიდა კავკავში ათ წელიწადში [illegible] არ გაყიდულაო. იმასაც ხედავთ რომ თუმცა თერგის ოლქი სავსეა სიმინდით და გზები კი შეკრულია—სიმინდის ფასი მაინც დღითი დღე იზრდება. მიზეზი ამისი ის გახლავთ, რომ არყით ვაჭრობა აკრძალულია, ხოლო გამოხდა კი არ არის აკრძალული და მთელი ოსები სულ არყათ აქცევენ სიმინდს. გაუწმენდავი ცუდი თვისების არყით სავსეა მთელი ოლქი, ეზიდებიან აგრეთვე მოსკოვსა და სხვა ქალაქებში და ვედროს 100—120 მან. თურმე ჰყიდიან. პოლიცია ყოველდღე ათს პატარა კასრს ატუსაღებს კავკავში ამისთანა არაყს და თურმე ჰღვრის (ნუ გაგიკვირდებათ). იქვე გვერდზედ კი ღვინის საწყობები დაბეჭდილია.

გვარწმუნებენ კავკავში თუ მოსკოვში რომ ღვინო ავკრძალოთ, ლოთობა მოისპობა, ე. ი. ის 3—4 მილიონი ვედრო ღვინო რომელიც წელს ამიერ-კავკასიაში მოვიდა, რომ აქვე მწარმოებელთან მოამწყვდიოთ, არ გაყიდვინოთ (მაშასადამე სულ ადგილობრივ დაილიოს) ამით ლოთობა მოისპობა და თუ ამ ღვინოს მთელ რუსეთში გავავრცელებთ ამით ლოთობას ხელს შეუწყობთო.

მაგრამ ვინც ამას ამბობს კარგად იცის, რომ რუსეთში რაც უნდა დიდი მოსავალი მოვიდეს ღვინისა, მცხოვრებზედ ორი ბოთლის მეტი არ მოდის წელიწადში, მაშინ როდესაც საფრანგეთში მცხოვრებზედ 80 ბოთლი მოდის, და ისიც ხომ ვიცით, თუ როგორი „ლოთები“ არიან ფრანგები.

აქ მხოლოდ ერთი რამ არის ცხადი: რომ ღვინით ვაჭრობა წესიერ ნიადაგზედ იყოს დაყენებული, პოლიციას მეტად შეუმცირდებოდა მასთან შემოსავალიც.

კახეთში კი, მიუხედავად იმისა რომ შარშან ჩვეულებრივი მოსავლის 15 პროცენტი ძლივს მოვიდა, დღესაც ბევრი გაუსყიდი ღვინოა. ალაგც მუშტარი ჩანს, რადგან ამ გამოურკვეველ მდგომარეობაში და მოხელეთა თვითნებობის შიშით ვერავინ ბედავს ღვინოში ფულის დაბანდებას და ტანჯვით მიყვანილ მოსავალს გულის ტკივილით შეჰყურებს ჩვენი მევენახე. ყველა ეს იმიტომ ხდება, რომ ხმის ამომღები არავინ არის; ჩვენ დაქსაქსულნი ვართ, შეუკავშირებელნი, არა გვაქვს დაწესებულება, რომელსაც უნდა დავალებული ჰქონდეს მევენახეთა ინტერესების დაცვა.

სხვა რაიონებში მევენახეთა საზოგადოებებია, რომელნიც დაუღალავად უდგანან მევენახეთა საჭიროებათ, როგორც მაგ. ყირიმის საზოგადოებამ ამ მოკლე ხანში ძალით გამოსტაცა მთავრობას ღვინით ვაჭრობის ნებართვა (ოდესის რაიონში მომწყვდეული იყო თითქმის 12 მილიონი ვედრო). ჩვენში კი ერთად ერთი დაწესებულება, რომელსაც „მინდობილი“ აქვს მევენახეობის მფარველობა ეს გახლავთ „საგუბერნიო მევენ.-მეღვინ. კომიტეტი“ და რომელიც უფრო საუწყებათაშორისო ბიუროკრატიულ დაწესებულებას წარმოადგენს (სადაც სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენლებს მოუყრიათ თავი) ვიდრე მევენახე-მეღვინეთა საზოგადოებას.

საჭირო კია მეტი ენერგია, მეტი სიფხიზლე, რომ ჩვენი ინტერესები არ გათქვიფონ საერთო ანარქიაში.

საჭიროა შეკავშირება, რომ თავი გამოვიდვათ და ჩვენს საქმეს ვუწამლოთ როგორმე. ის აურ-ზაური, რომელიც ათასგვარ აბსურდებს შეაქვთ ჩვენი მეურნეობის უმთავრეს დარგში, უნდა ვამცნოთ, როგორც ჩვენს უმაღლეს მთავრობას, ისე სახელმწ. სათათბიროს.

ჯერ ჯერობით კი საჭიროა რაც შეიძლება მალე მოყვანილ იქმნეს სისრულეში გორის მაზრის სამეურნეო თათბირის დადგენილება, საგუბერნიო სამეურნეო ყრილობის მოწვევის შესახებ, და ეს საკითხიც შესწავლილი და განმარტებული წარუდგინოს მას განსახილველად.

თორემ ჩვენთვის არავის სცხელა, პირიქით ჩვენ გვაცხუნებენ, და მდგომარეობა კი უკიდურესია.

**გიორგი წინამძღვრიშვილი**

## შაქრის მისაღებ ბარათების აღების წესი

1. შაქრის მისაღები ბარათები მხოლოდ საკუთარ ბინების პატრონებს მიეცემათ. მათ ბარათში შეტანილ იქნებიან ყველა ვინც მათ ბინაზე ცხოვრობენ და ერთად სადილობენ, ძიძამსახურენი, შესანახად აყვანილი მოწაფეები და სხვანი, ვინც კი შაქარს სახლის პატრონებისგან იღებენ.

**შენიშვნა:** ა) იმ ოჯახებს და კერძო პირებს, ვისაც ოჯახის ნაწილი ან და თვითურად სასტუმროებში ცხოვრობენ და საკუთარი მეოჯახეობა აქვთ მოწყობილი, ცალკე ბარათების მიღება შეუძლიათ.

**შენიშვნა:** ბ) თუ სახლის პატრონები მათ სიაში ჩაწერილ პირების ბოროტმოქმედებას შეამჩნევენ, ბოროტმოქმედთ შაქრის მიღების უფლება მოესპობათ.

2) დაკარგულ ბარათებს აღარ განახლებენ.

3) სიტყვებ შესწორებულს და ამოფხეკილ ბარათს ძალა ეკარგება...

4) შაქრის მისაღებ ბარათების მისაღებათ საუბნო სასურსათო კომიტეტში უფასოდ დარიგებულ საგანგებოდ

დაწესებულ ბლანკით განცხადების მიცემაა საჭირო.

**შენიშვნა:** განცხადება უნდა გარკვევით, უშეცდომოთ და ამოუფხეკლივ იყოს დაწერილი.

5) განცხადებებს (სახლის წიგნის მიხედვით და სახლის პატრონისა და მეეზოვის გამოკითხვით) კომიტეტის რეგისტრატორი შეამოწმებს ადგილობრივ.

6) ბარათების ახალ ბარათებზე შეცვლა მხოლოდ მაშინ შეიძლება: ა) თუ ოჯახის წევრთა რიცხვი შეიცვალა, ბ) თუ ბარათის პატრონი ერთი უბნიდან მეორეში გადავიდა, გ) ანდა თუ ბარათი შეცდომით დამზადდა.

7) ბარათის პატრონი, როდესაც იგი ერთ უბნიდან მეორეში გადადის, მოვალეა თავისი ბარათი იმ უბნის კომიტეტის კანცელარიას გადასცეს, საიდანაც იგი გადადის.

8) იმ შემთხვევაში, როდესაც მდგმური ბინას იმავე უბანში იცვლის ბარათს გამოცვლა არ სჭირია.

9) როდესაც ოჯახის წევრთა რაოდენობა შეიცვლება, უბნის სასურსათო კომიტეტში უნდა დაწესებულ ბლანკით განცხადება შეიტანონ; განცხადებას თან უნდა გააყოლონ აგრეთვე ის ბარათი, რომლის გამოცვლაც საჭიროა.

10) საუბნო კომიტეტი დღიდან განცხადების შეტანისა, ბარათს სამ დღეში მისცემს გამოცხადებულს.

11) სასტუმროებს, აფთიაქებს, ლაზარეთებს, სკოლებს და სხვ. ბარათის მიღება მხოლოდ შაქრის ბიუროში შეუძლიანთ, სადაც მათ შესაფერი განცხადება უნდა შეიტანონ.

12) შაქრის ბიურო ზემოხსენებულ დაწესებულებაში შაქრის მიმღებთა რიცხვს შეამოწმებს.

13) ყოველივე განცხადება ბარათების პატრონთა და მათ მდგმურთა შორის, რომელნიც შაქარს მათგან, ბარათის პატრონთაგან იღებენ, და აგრეთვე ქალაქის შაქრის მიმცემ მედუქნესთან მომხდარ ბოროტმოქმედებასა და გაუგებრობაზე, საუბნო კომიტეტის კანცელარიაში უნდა იქმნას შეტანილი.

14) ბარათის პატრონებმა ერთ-ერთი ქალაქის დუქანი უნდა აირჩიოს თავის რაიონში და შემდეგშიც იქიდან უნდა იღოს ხვედრი შაქარი.

15) ბარათებზე დახარჯულ ფულის ასანაზღაურებლად მიმღებს ორი შაური გადახდება.

ქალაქის სასურსათო კომიტეტი

## სოფლელ დედაკაცების აჯანყება თელავში

აქაურ ვაჭართა თავგასულობა-გაუმაძღრობამ ამ ბოლო დროს იქამდე შეაშფოთა თელავისა და მის განაპირა სოფლის კურდღელაურის ღარიბესი მცხოვრებნი, რომ ქუჩაში გამოიყვანა მათ წინააღმდეგ სამოქმედოდ, ისევე იარმუკის ვაჭარი სოფლელი დედაკაცები.

წვრე რამ აიძულა ეს ვაჭარი დედაკაცები, რომ სიძვირის წინააღმდეგ გაილაშქრეს, როდესაც თითონაც ვაჭრობენ და შეუძლიანთ თავიანთი სანოვაგეც გაძვირონ?

აი რამ:

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ რამდენჯერაც კი ქალაქის თვითმართველობა ნიხრს გამოსცემდა თელავში, მაშინვე მედუქნე ვაჭრები საქონელს გადამალავდნენ და დაფარულად უფრო მეტ ფასში ჰყიდდნენ ისეთს სანდო მუშტრებზე რომლებიც არ დააბეზღებდნენ.

დედაკაცებს კი გარეთ, იარმუკაში არ შეეძლოთ თავიანთ საქონლის გადამალვა, ხალხიც ამათ ესეოდა და სტაცებდა ძალით ნიხრის კვალობაზე, და ათასგვარ შეურაცყოფას აყენებდა მათ. ამის გამო ბევრჯერ სცადეს დედაკაცებმა გაფიცვა, მაგრამ ერთი სოფელი თუ გაიფიცებოდა მეორე სოფლის დედაკაცებს ისევ მოჰქონდათ გასაყიდათ და ამით ვერაფერს ახერხებდნენ. მედუქნეები კი იცინოდნენ და განაგრძობდნენ ნიხრის დადგენამდე გაძვირებას, ნიხრის დროს კი გადამალვას. თუ საყვედურს ეტყოდა ვინმე, პასუხი მზად იყო: „ვა, მაქვს და არ გაძლევ? წამო ძმავ, ნახე თუ მქონდეს წაიღე რაღა, ნიხრის კვალობაზე". იჩივლებდნენ სადმე „გალავასთან" ან მილიციაში, იქაც ის ესმოდათ—არა აქვს და რა უნდა მოგყიდოს? ძალათ ხომ ვერ გააჩენსო!

ამ დედაკაცებმა ითმინეს ყველა ეს, ითმინეს დამცირება, დაცინვა, მოტყუება, ძალადობა და აი ეხლა ამათაც ძალას მიმართეს, მით რომ მკათათვის 15-ს გაიფიცნენ, 16-ში დილით ამოვიდნენ კურდღელაურიდან, მიესივნენ სოფ. ვარდისუბნელ ვაჭარ დედაკაცებს, გადუყარ-გადმოუყარეს ყველაფერი და გარეკეს. ერთ თათარს დაეცნენ, ერთი ურემი საზამთრო, თითოს რომ 2—3 მანეთად აფასებდა, გადაუყარეს რიყეში და დაუხეთქეს, მეხილეებს ხილები გადაუყარეს. დუქნების აკლება კი გადადეს მეორე დღისთვის, რადგანაც იმ დღეს კვირა იყო და დაკეტილები დახვდათ. ამ გარემოებას მხოლოდ ეხლა მიაქცია ყურადღება აღმასრულებელმა კომიტეტმა, მოახდინა იმ ღამეს სასწრაფო კრება, იმ ღამესვე დააბეჭდინეს და გამოუშვეს ფურცლები 17 მკათათვეს, გათენებისას აჯანყებული დედაკაცების დასამშვიდებლად, რომელთაც ჰპირდებოდნენ, რომ ეხლა კი ნიხრს დაუდებდნენ ყველას, და ვინც მეტად გაჰყიდდა ან გადამალავდა საქონელს, თუ გაუგებდნენ საქონელსაც ჩამოართმევდნენ და დააჯარიმებდნენ კიდეც, ვაჭრებს კიდევ უკრძალავდნენ იმ დღეს დუქნების გაღებას. აკლების თავიდან ასაცილებლად გამოიყვანეს ბაზრის საყარაულოდ შეიარაღებული იუნკრები. გახდა დილის რვა საათი, მაგრამ ჯერ არავინ გამოჩნდა, აჯანყებულთაგანი, შემდეგ გაიგეს, რომ თელავის განაპირა გზა შეეკრათ დედაკაცებს და გადაეწყვიტნათ რომ შორი სოფლიდან არაფერი გამოეშვათ თელავისკენ. ამ განზრახვით დაეტუსაღებინათ კიდეც რამდენიმე ურემი სხვა და სხვა სანოვაგე. ეს გაიგეს თუ არა, მაშინვე წავიდა თელავის კომისარი ლ. გეგრგელაშვილი, რომელსაც ბევრი რჩევადარიგებით ძლივს გაენთავისუფლებინა დატუსაღებული ურმები.

შემდეგ ეს აჯანყებული დედაკაცები თელავში ამოვიდნენ ყველანი, რომლებშიაც ზოგიერთნი კეტებითაც იყვნენ შეიარაღებულნი. ბევრი მათგანი შეც ვიდნენ თელავის ქალთა კავშირის ბინაზე, გამოიტანეს მათი დროშა და იმის ირგვლივ მოიყარეს ყველამ თავი. სამოქალაქო ბაღში ამათ შეუერთდნენ თელავის ღარიბი მცხოვრებნი და ერთ წამში გაივსო მთელი ბაღი, სოფლის აჯანყებულ დედაკაცებში იყვნენ აგრეთვე ისეთნიც, რომლებსაც თან წამოეყვანათ თავიანთ შვილები უქუდო, ფეხშიშველი, რომელთა დაფლეთილი სამოსელიც ნახევრად ძლივს უფარავდა მათ სხეულს. ყველა საშინლად იყო აღელვებული, ყველა წყევლა-კრულვას უთვლიდა ვაჭრებს და თან მუშტ-მოღერებულები გაიყურებოდნენ მათ დაკეტილ დუქნებისკენ. მღელვარება მატულობდა თან და თან და არავინ იცის რით გათავდებოდა საქმე, რომ დროზე არ გამოსულიყვნენ სხვა და სხვა პარტიის ორატორები და არ ელაპარაკნათ ხალხისთვის ამგვარი აჯანყების მავნებლობაზე დღევანდელ პირობებში, ყველა ლაპარაკობდა გრძნობიერად, ყველა მოუწოდებდა სიმშვიდისკენ, მაგრამ ყველას არ მოსწონდა მათი სიტყვები და არ იშლებოდნენ. ბოლოს ამოარჩიეს აჯანყებულ დედაკაცებს მათი მხრივ რამდენიმე პირნი ნიხრის დამდებ კომისიაში დასასწრებლად, დედაკაცებმა მოითხოვეს, ვიდრე კომისია დაადგენდა ნიხრს, დაებეჭდათ ყველას საჭიროებ ბი, რომ პატრონებს საქონელი არსად გადაემალნათ. კომიტეტმაც მაშინვე თავს იდვა მათი თხოვნის შესრულება და შეუდგნენ კიდეც დუქნების ბეჭდვას, რის შემდეგაც ძლივს დაიშალა ხალხი დაიმედებული ისეთი ნიხრის დადგენით, რომელიც ნამდვილათ სავალდებულო იქნება მყიდველისთვისაც და გამყიდველისთვისაც.

ნ. შუამთელი.

## „ხე-ტყის მრეწველობის კრიზისი"

(მცირე შენიშვნა)

ამავე სათაურით „საქართველოს" 139 ნომერში მოთავსებულია მოკლე ცნობები ხე-ტყის გაძვირების შესახებ ჩვენში.

ამ ცნობის ავტორი ბორჯომის ტყის უმფროსი გ. პახარი ხე-ტყის გაძვირების მთავარ მიზეზად მუშის ფასის უზომოდ გადიდებას სთვლის.

„მუშის ფასმა ძალიან აიწია, უკანასკნელ ხანებში ფასმა ხუთ-ექვსჯერ იმატა... მტკვარზე მიტანით (10—12 ვერსია) ერთი კუბიკური ფუტი 1 მ. ნ. ღირს, წინანდელ 10—12 კაპ. მაგიერ, ამისათვის ერთი საჟენი (220 კუბ. ფ.) 220 მან. დაჯდება და ბორჯომის აღმასრულებელმა კომიტეტმა საჟენი შეშის ნიხრი 45 მან. დააწესა"-ო.

ომის დასაწყისს ერთი კუბიკური ფუტი საამშენებლო ხე-ტყე ბორჯომში მტკვარზე მიტანილი 20—23 კაპ. აუღიებია და, შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ფასმა 45 კაპ. აიწია, ეს ფასი თანდათან გადიდდა და 1917 წლის 1 მარტამდის 1—60 კაპ. გაიზარდა.

ბორჯომის მამულის გამგეობა ერთ კუბიკურ ფუტის საამშენებლო ხე-ტყის დამზადება ჩამოტანაში მტკვრამდის აძლევდა ბორჯომის ხეობის გლეხებს ომის დაწყებამდის და შემდეგაც 5—9½ კ. ერთი წლის შემდეგ 10—12 კ. გაუხადა და 1917 წლის პირველ მარტამდის ამ ფასს არ მომატებია ამ გვარად:

| | 1 კუბ. ფუტი ღირდა | დამზადება და ჩამოტანა | [illegible] |
|---|---|---|---|
| ომამდის | 21½ კ. | 7½ კ. | 14 კ. |
| 1914—1915 წ. | 45 „ | 7½ „ | 38½ „ |
| 1915—1916 „ | 90 „ | 11 „ | 79 „ |
| 1916—1917 „ | 150 „ | 11 „ | 139 „ |
| ფასის აწევის პროცენტი ფასთან შედარებით: | | | |
| 1914—1915 წ. | 115% | 0% | 245% |
| 1915—1916 „ | 230% | 46 | 565% |
| 1619—1917 „ | 700% | 46 | 1000% |

ეს ციფრები გვიჩვენებენ რა, დიდად და რა სწრაფათ გაზრდილა ხე-ტყის ფასი ამ სამი წლის განმავლობაში, და რომ ფასის გადიდება გამოუწვევია არა მუშის გაძვირებას, არამედ ბაჟის უზომოდ აწევას. მაშინ, როცა მუშის ფასი ამ სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ½-ჯერ გადიდებულა, ბაჟი ამავე დროს გაათკეცებულა! სპეკულიაცია ამაზე შორს ვერ წავა.

ბორჯომის მამულს თავისი მდიდარი ტყეებით, კარგათ მოწყობილ სახერხი ქარხნებით და მართვა-გამგეობით საპატიო ადგილი უჭირავს კავკასიის ხე-ტყის მრეწველობაში, და რასაკვირველია დიდი გავლენაც აქვს კავკასიის ყველა ხე-ტყის ბაზარზე.

შეშის დამზადების და ჩამოტანის ფასი დიდად განსხვავდება საამშენებლო ხე-ტყის დამზადება ჩამოტანის ფასისგან, იგი საუკუნოდ გაცილებით ნაკლები იყო და არის და იქნება კიდეც საამშენებლო ხე-ტყის ჩამოტანის ფასზე. ეს კარგათ უწყის თვით გ. პახარმა და საკვირველია ესე მოურიდებლად და გაბედულად გვეუბნება—„საჟენი შეშა 220 მანეთი დაჯდებაო"!

ზემოთ ნათქვამიდან მკითხველი დაინახავს, რომ გ. პახარის ცნობები სიმართლეს დიდათ ღალატობენ და მისი დასკვნაც ამიტომ ყალბია.

ზემო ქართლელი.

## უწესოება ს. სართიჭალაში

ეს სოფელი დღემდის გარე-კახეთის ერთგვარ ცენტრს წარმოადგენდა. აქ სცხოვრობდა მომრიგებელი შუამავალი, ბოქაული თავის ჩაფრებით და სხვა. საცა კაცი დაიკარგებოდა სართიჭალაში ამოჰყოფდა თავს, ამისათვის ამ სოფლის გერმანელები თუ ქართველები უფრო მეტად ჰგრძნობდნენ ძველი მთავრობის სიმწარეს, ვიდრე სხვა სოფლები.

უკვე შვიდი თვეა რაც ამ პატარა სოფელში თითქმის ორი ათასი ჯარის კაცი არის ჩასახლებული; მათ ბევრი უბედურება მიაყენეს ადგილობრივ მცხოვრებლებს. ქალები გააუპატიურეს და ბევრი ოჯახი შეარცხვინეს. ღვინოები ქოცოებიდან და ბოჩკებიდან წაიღეს. ქათამი ინდაური, ცხვარი და სხვა საქონელი სულ გააწყვეს. არავის არაფერი შეარჩინეს, საბუდრებიდან კრუხებიც კი წაიყვანეს. შედიოდნენ ჯარისკაცები ვენახებში და ყურძნიან რქას ამტვრევდნენ ვაზებს—ბორშჩში ჩასაყრელად. ბაღი და სხვა ხილი ხომ ადგილობრივ მცხოვრებლებს თვალითაც კი არ უნახავთ, რადგან ჯარის კაცებმა შეჭამეს. ყველა ამ უბედურებას ზედ მიემატა სიტყვა, რომელიც ნახევარ არშინზე დაიდო თოვლივით და ყველაფერი მოსპო და ადგილობრივი მცხოვრებლები ცუდ დღეში ჩაცვივდნენ. ბედმა არც სხვა რამეში გაუღიმა დღეპატლებს. რევოლუციის პირველ დღეებიდან აქ მიბრძანდა მუშათა საბჭოს წევრი, როგორც თავის თავს აცნობებს, ათანასე ქვათაძე. პირველ დღეებშივე ა. ქვათაძემ ქადაგობა დაიწყო და აშკარად გაილაშქრა ადგილობრივ ინტელიგენციის წინააღმდეგ. მღვდელი, მასწავლებელი და ყველა ნასწავლი კაცი ბურჟუათ მონათლა და მაგათსას ნურაფერს იჯერებთო, ეგენი ცუდათ გასწავლიანო და თუ ვინმე იყო პატარა მოღვაწე სოფელში მიწასთან გაასწორა. გლეხები გრძნობენ, რომ ინტელიგენცია გარიყული დარჩა და ფიქრობენ—მაშ ვიღამ უნდა გვასწავლოსო ისეც ბნელ ხალხსაო, მიკიტნებმა თუ კონდუქტორებმაო. დროთა ვითარების შემდეგ ა. ქვათაძე იყო არჩეულ სარაიონო კომისრად, თუმცა თვით გაიძახოდა წინად სანამ აირჩევდნენ, რომ ეს მისი აზრების ღალატი იქნებაო. როგორ სამართლიანად და დემოკრატიულ პრინციპებზე მოხდა მისი არჩევნები ეს თვით „ალახმა" უწყის. აირჩიეს კომისრად, მაგრამ რას აკეთებს? ხშირად დარბის ქალაქში და უსაქმო ლაპარაკში ატარებს დროს. სხვათა შორის მან ერთ დღეს გამართა ჯარისკაცების მიტინგი, რომელნიც ჩვენ სოფელში არიან დაბანაკებულნი. ამ მიტინგზე ჩვენი გლეხობა როეს ჯარისკაცებს ისე გააცნო, როგორც ყოვლად უბედური, დათვი და ძველი რეჟიმის ხალხი, რომელთაც „ვუსურვებ ჩქარა ამოწყვეტას, რომ მათი შვილები აღიზარდნენ ახალ პრინციპებზედაო". ამის შემდეგ ახსენა ავტონომია და სთქვა: „ვინც ავტონომიაზე ხმას ამოიღებს, ან რომელიმე გამოყოფაზე, ჩვენ ისინი დავხვრიტოთო". ამას მოითხოვს სოც.-დემოკრატი.

ამ ათი დღის წინად ყარაის თათრებმა ქართველი მეხრეები გაბაწრეს და ჯაგებში ჩაჰყარეს, მათი საქონელი კი ექვსი ხარი გაიტაცეს. მეორე დღეს ადგილობრივმა მილიციონერებმა კვალი თათრების სოფლამდის მიიტანეს, მაგრამ თათრებმა თავიანთ სოფელში არ შეუშვეს. მილიციონერები დაბრუნდნენ და ჯარი წაიყვანეს. თათრები დაიჭირეს და შვიდი საბადლო ხარი წამოიყვანეს. თათრებმა ქართველებთან მორიგება დაიწყეს და მორიგდნენ, კომისარის თანხმობით, რომ ქართველებს ერთი მეტი ხარი უნდა დაებრუნებინათ. თათარმა ერთი ხარი აირჩია, ქართველებმა კი მეორე ხარი აძლიეს, რომელსაც ჩლიქი არა ჰქონდა და სამფეხა ხარი რათ უნდოდათ, ან რათ აეყვანდნენ თავიანთ სად ოთხ ფეხა ხარში. ბ-ნი კომისარი ა. ქვათაძე კი გაჯავრდა, ამოიღო რევოლვერი დაირეკა ხარები და უნდა გაეტანებინა თათრებისთვის. წავიდნენ ქართველები და სასამართლოში სჩივიან. ადვილია თქმა სასამართლოში უჩივლეო, მაგრამ აბა იფიქროს ა. ქვათაძემ, რომ მანამ გლეხი სასამართლოში საქმეს მოიგებს მანამ მინდორი მოუხნავი დარჩება, თივა გაუთიბავი, ყანა მოუმკალი და ვენახები მოუვლელი, რითაც კი ჩვენი გლეხი ცხოვრობს—ქვათაძე კი რას ჰკარგავს—გარეკა საქონელი. მაგრამ მთელი სოფელი კაცი, ქალი თუ ბავშვი წინ გადაეღობა და საქონელი არ გაატანეს. კიდევ მადლობა ადგილობრივ ჯარს, რომელიც გლეხობას დაექომაგა თორემ იგი თავისას გაიტანდა და გამოტეხილი ქურდობაში თათრები თავისუფლად წაასხამდნენ საქონელს. ამ დღეშია დღეს ეს პატარა სოფელი და ბევრი უიმედოთ უყურებს ახალ დროებას, რადგაც შიში ეპარება მას. ბევრი რამეა კიდევ სათქმელი, მაგრამ ისეც გავაჭიანურე ეს წერილი და ვშიშობ არ მოვაწყინო თავი პატივცემულ მკითხველებს.

მიხა.

## კორესპონდენცია

### წერილი სპარსეთიდან ქურთების თავდასხმის შესახებ

არა ერთხელ და ორჯელ დაწერილა გაზეთის ფურცლებზე ცნობები ქურთების შესახებ.

„კავკაზსკოე სლოვოს" ახლო ხანშიაც ვილაც აცყობინებს თითქმის სიმართლეს მოკლებულ ცნობებს.

დილმანიდან იტყობინებიან ცხენოსან შეიარაღებული ქურთებს თავდასხმას და მას შედეგს, შემდეგ ქ. ბაიაზეთს და ქ. ვანს შუა გზები დაკეტილია ქურთების ხშირი თავდასხმის გამოო („კავკაზსკოე სლოვო" № 143—ივნ. 29 1917 წ.) დილმანში თავდასხმისას ვერაფერს მოგახსენებთ, მხოლოდ გზების დაკეტვა კი სულ ტყუილია.

აგერ მეხუთე თვეა რაც ვან-ბაიაზეთის ხაზზე ვიმყოფები და სიარულიც ხშირად მხვდება ბაიაზეთ-არნისს შუა ღამითაც კი; მაგრამ ერთი მაგალითაც არ მახსოვს არც ერთი საშინელი თავდასხმების როგორც იტყობინებიან.

კი, მართალია, თავდასხმა იყო, მხოლოდ ერთხელ თუ ორჯელ დიდ ტრანსპორტებზე მშიერთაგან სურსათის წართმევის აზრით.

ბევრი მახსოვს მაგალითები სოფ. არნისიდან (არნისი ვანის ტბის ნაპირზეა ქ. ვანიდან 40 ვერს დაშორებული), რომ ავრცელებდნენ ხმას, არიქა გვიშველეთ, ქურთები თავს გვესხმიანო, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ სრული ჩვეულებრივი სიმშვიდე ჩამოვარდებოდა.

ერთ მშვენიერ ღამეს (თიბათვეში) გარნიზონის უფროსმა სოფ. არნისში გასცა ბრძანება, „აბა მოემზადენით, ამაღამ ქურთები თავს გვესხმიანო". იქ მდგომ ჯარის ნაწილებს მისცა გეგმა მოქმედებისა.

თავ-დასხმა უნდა მომხდარიყო სოფ. არჯიშის მხრიდან ღამის 3—4 საათზე.

დიდი ალიაქოთი შეიქნა: ერობათა კავშირის ლაზარეთში ავადმყოფებიც კი მოამზადეს ბრძანებისამებრ. რაც ადვილი ხელ-წამოსაკრავი და უსაჭიროესი ნივთი იყო, გამოვკარით და პირველ დაძახებისთანავე უნდა გზას გავდგომოდით ნაჩვენებ ადგილისაკენ. ღამის ორის ნახევარზე გაისმა მეორე ბრძანება „დამშვიდდით, დაიბანაკეთ, თავდასხმა ტყუილი გამოდგაო.

სავსე ყარაული სოფელს მაინც გარს ერტყა მეორე დილამდი. აურზაურის და არეულობის მიზეზად გამოდგა ერთი სომხების მე-5 დრუჟინის აფიცერთაგანი, რომელსაც სოფ. არჯიშის თავში შეენიშნა რამდენიმე დამშეული, ლუკმა პურისთვის მოხეტიალე ქურთი. შეშინებოდა და დეპეშით ეცნობებინა გარნიზონის უფროსისათვის არნისში: „გვიშველეთ, რამდენიმე ათასი შეიარაღებული ცხენოსანი ქურთი თავს გვესხმისო და შემდეგ არნისისკენ წამოვლენო". ასეთი ცნობების ნაყოფი გარნიზონის უფროსის ზემოხსენებული ბრძანებისა.

ასეთი ამბები არა ერთხელ და ორჯელ მომხდარა აქ. შემიძლია რამდენიმე მაგალითი კიდევ მოვიყვანო, მაგრამ საქმის გასაშუქებლად ესეც საკმარისი მგონია.

გრიშა ტყემალაძე

სოფ. სავალი (სპარსეთი)
1917 წ. 10 ივლ.

## წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „საქართველოს" საშუალებით ღრმესი მადლობა გამოუცხადო შემდეგ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ქალ. ქუთაისში ძველი ლაგირის ქუჩის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს: ხუთ-ხუთი მანეთი ი. მეძმარიაშვილმა, გ. ნაცვლიშვილმა, ბ. ტყეშელაშვილმა, ვას. არდანაშვილმა, ი. სვანიძემ, ერ. ჩოგოვაძემ, პატარა არტემასმა ... ლ. ძოძუაშვილისმა ... კვერნაძემ, სერ. როფაქიძემ, ა. ქ ჯაიამ, არ. მირიანოვმა, მაქ. დეისაძემ, დ. ზვიადაძემ, ილ. ძოძუაშვილმა, ის. სანდუხაძემ და პორუჩიკმა ს. გაგოშიძემ.

ბიბლიოთეკის გამგე

ი. ქანტურიშვილი.

ქალ. ქუთაისი 8 ივლისი 1917 წ.

—

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის უახლოეს ნომერში მისცეთ ადგილი შემდეგს ჩემს წერილსა: 21 ივნისს 1917 წელს ქალაქ ახალციხეში საზოგადო საკრებულო დარბაზში დაიდგა ქართული წარმოდგენა დრამა მახვერპლი ი. გედევანიშვილისა და ტიმოთეს ლეღვი ი. გრიშაშვილისა რაბათის ქალთა სკოლის სასარგებლოთ. შემოვიდა ბილეთებიდგან—203 მან. 50 კაპ. კიოსკიდან—34 მან. ბუფეტიდან 158 მან. სულ შემოვიდა—395 მან. 50 კაპ. აქედან დაიხარჯა—123 მან. 20 კაპ. წმიდა შემოსავალი დარჩა 272 მ. 30 კ. დასასრულ მადლობას ვუძღვნი მათ, ვინც დახმარება აღმოუჩინეს ამ კეთილს საქმეში: ქ. ჯუღელს, ნ. ჯვარიძეს, ზ. მელიქიშვილს, ქ. ჰრულაშვილს, ვ. კაპანაძეს, ვ. სრესელს, ვ. კუპრაშვილს. ა. კანდელაკს, ლ. კანდელაკს, ზ. ელიოზიშვილს, ე. ჯინჭველაძეს, გ. იგითხანოვს, ნ. გოგიჩაშვილს, მახარობელაძეს და კუპრაშვილის პატარა გოგონას რომელმაც ხალხს დიდად აასიამოვნა თავის ლექსებით და ცეკვით. დანარჩენთაც დიდათ ვმადლობთ დახმარებისათვის.

გამგე სკოლისი

ვერა გ. ხარებოვისა.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თფილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | სამგზ. | № 3, | 11.08 | ღამ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | ღღ. |
| „ | „ | № 17, | 3.27 | ღამ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | ღამ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | ღამ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | ღამ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.18 | საღ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | ღამ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.33 | საღ. |
| ბაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | ღამ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.13 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.24 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | ღამ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.13 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 8***, | 8.10 | ღამ. |

# სააავადმყოფო

**სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსახურდი ავადმყოფებისთვის:**

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

**ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.**

ხელაძე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გვინაძე—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და სამშობიარო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ოხსელიანი—ქალთა და სამშობიარო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—35

# კომიტეტი
## ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერონ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სახაზლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის" რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

10—740—9

კომიტეტი ქ. ს. კ.

## თამაზის მრეწველნი
# ძმ. ძიძიგურები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 3, ტელეფონი № 112.

ყოველ დღე მიიღებს საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ძ. ... ", ... [illegible] ... ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მწკვრის ზუთხი, თართი, ... და ... დიდი ... კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივი ინაზება. (წ.)